XXIV № 10 XXIV

ოქტომბერი, 1913 წ.

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I ფინლანდიის ტურფა ბუნება (სურათი) . . . 530
II ბაჭია და კურდღელი. ლექსი შოთ მდგომელისა. . 531
III იშვიათი პერანგი. ხალხური ლეგენდა. თარგმანი მანანასი 533
IV მებადურის ვაჟი-შვილი. ზღაპარი გალექსილი ი. მჭედლიშვილისა. 537
V როგორ შემოიღეს პირველად ცული (თარგმანი) ალ. ლორდელისა. 544
VI პატარა ტარიელი, (დასასრული) ზღაპარი ალ. ნათაძისა. 552
VII წვრილმანი: გამოცანები, გეოგრაფიული ჯვარი, ამოცანა, გასართობი და სხვა 560

VIII საღამოს ჟამი. ლექსი გელასი. 563
IX დიდების მაძიებელი (დასასრული იქნება) თარგმანი ალ. ფ-სი 564
X მტკვრის სათავე, ჭოროხი და თამარ მეფე. მგზავრის დღიურიდან — ილ. ალხაზიშვილისა . . . 572
XI საათის შემოღება (გადმოკეთებული) ან. წერეთლისა 578
XII ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა. ფონოგრაფი . 587

ჯეჯილის **1913** წლის ხელის მომწერლებს

ვისაც ჟურნალის ფასი გადახდილი აქვთ

საჩუქრათ დაურიგდებათ

დასურათებული წიგნი.

ჩვენი მეგობრები

ჯეჯილის რედაქციაში ისყიდება ახლათ დაბეჭდილი.

მცენარეები და ცხოველები

ცხელი ქვეყნებისა. (დასურათებული)

ფასი 35 კაპ.



1879

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

ოქტომბერი, 1913 წ.

147

წელიწადი მეოცდაოთხე

თბილისი
ელექტრომბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1913



ბაჭია და კურდღელი

აჭია შეხვდა კურდღელსა
უთხრა: სალამი, ძიაო,
— ოო! გაგიმარჯოს, მმის წულო,
საითკენ გიმგზავრიაო?
— რაღა საითკენ, დაგემებ,
დედა ვერ მიპოვნიაო;
ვერც მამა ვნახე, ტანტალში
გზა სულ მთლად ამებნიაო.
— თვალს ვერარ დაჭკრავ იმათა,
ჩემო პატარა ჭკვიანო,
ახლა სხვაგანა ბუდობენ,
სხვა ბაჭიებსა ზრდიანო!
— თუ გშიან, აი, ცანცალავ,
ამ მდელოს ჩემი ჭქვიანო,
რამდენიც გინდა ინებე
სანამ კი შეგიძლიანო.
გაძღა, გასუქდა ბაჭია
კარგ კურდღლის პირობაზედა;

იმაზე კარგა ვიღაა
იმ მდელოს ძირობაზედა.
თავი უჭირავს ამაუად,
ბუზს აღარ ისვამს თავზედა,
აღარც მთის არწივსა ჭსედავს,
არც ლეგა ღრუბლებს ცაზედა.
შემოუტია კურდღელსა:
წა, რას მადგიხარ კარზედა?
წამხდარო, გაფუჭებულო,
ხარობ ვის მონაგარზედა!
დაგიკარგია თავ-ბედი,
ლაუბობ ძმობაზე, სხვაზედა;
ახი არ არის, გიგალო
სულელი თავი ქვაზედა?!
კურდღელმა უთხრა: ბაჭიავ,
რა გითხრა, ბრმა ხარ ბრმაზედა;
რად არ დაუხმობ შენს ტვინსა,
ცანცარავ ცანცარაზედა.
განა რა გიუავ ისეთი,
ამაგს მიწიხლავ რაზედა?
მარტოს დარჩენილს ძწევარი
კბილს რომ დაგადგავს უბაზედა,
მაშინ ჯა მოგაგონდები,
იქნებ მრჩეობდე ძმაზედა,
მაგრამ ვეღარას გიშველი
მე მონადირის მსარზედა!..

შილ მღვიმელი.

იშვიათი ჰერანგი

ლეგენდა.

ალიან სიღარიბეშია იოსების ოჯახი, თუმცა იოსები დურგლობს, მარიამიც დილიდან საღამომდის მუშაობს და ხელმოჭერით, ზომიერათ ცხოვრობენ, მაგრამ მათი სამი წლის ურმა იესოს ერთათ ერთი ჰერანგის მეტი არა აქვს. როგორც კი გაუჭუჭუიანდება იესოს ჰერანგი, მარიამი წაიუვანს წყალზე, იქ გახდის, გაურეცხავს, იქვე მზეზე გაუშრობს და ჩააცმევს. ჰერანგი დაძველდა, დადნა და ერთხელ რეცხვის დროს სულ მთლათ დაიფხრიწა. დარჩა ურმა იესო ტიტველი. მარიამმა ტირილი დაიწყო:

— ღმერთო, ამბობდა მარიამი — ეველაფერი შენი ნებაა, მაგრამ რა ვუყო, ბავშვს რა ჩავაცვა.

სთქვა თუ არა ეს მარიამმა, მასთან ბღავილით ცხვარმა მოირბინა:

— გამკრიჭე, გამკრიჭე, ბღაოდა ცხვარი.

გაკრიჭა მარიამმა ცხვარი და ახლა კვრინჩხის ეკლები ეუბნებიან: — მოიტა აქ, ეგ მატელი გავჩეჩოთ.

დაიწყეს კვრინჩხის ეკლებმა აქეთ-იქით მოძრაობა და უცბათ გაჩეჩეს მატელი. ობობა-კი ტოტზე ზის და თავის ჯერს ელის:

—მე ძაფს დავართავ და ტილოს მოვქსოვ, ამბობს ობობა.

დაართო ობობამ ძაფი, მოქსოვა ტილო და ფერის მისაცემათ მზეზე გაფინა. ამოძერა მდინარიდან კიბო და სთქვა:

ახლა კი ჩემი ჯერია, უნდა ჰერანგი გამოვჭრა.

აცოცდა ტილოზე და თავის წინა ფეხებით ჰერანგი გამოსჭრა.

მოფრინდა ახლა ჰატარა ჩიტი სასელათ ფეიქარი და ჭიკჭიკებს:

— ახლავე მე ჰერანგს შეუკერავ.

გამოაძრო კვრინჩხს ეკალი, ობობას ძაფი გამოართვა და ჰერანგი ხელათ შეკერა.

— ჰერანგი მზათ არის, ჭიკჭიკებს ჩიტი ფეიქარი.

ჩაიცვა გასარებულმა ერმა-იესომ ჰერანგი და გაიღიმა.

გაიღიმა ქრისტემ და მასთან ერთად, უცნაური სინათლე მოეფინა მთელ დედა-მიწას.

მანანა.

დედა-მგლის სიყვარული

ერთ ელი ბოროტი და აფთარია. თავის შვილებსაც მკაცრათ ზრდის, განგებ აბრაზებს და კბენს, რომ ისინი ბრაზიანები და ბოროტები გამოვიდენ, მტერს გაუძალიანდენ. სიყვარულით კი მას ძალიან უყვარს თავისი შვილები.

ერთხელ დედა-მგელი თავისი შვილებით მიდიოდა გზათ ტყეში, თან შვილებს აბრაზებდა და აწვალებდა.

— შენ არ გიყვარვართ ჩვენ, მუდამ გვაწვალებ, თითქოს გინდოდეს ჩვენი გაგლეჯა. უთხრეს შვილებმა.

მგელმა არა უთხრა რა.

ამ დროს შორიდან მოისმა ძაღლების ყეფა და ცხენის ფრუტუნი. გზაზე მონადირე მოდიოდა.

— ჩუმათ, გაწექით ახლავე მიწაზე, თავები არ აიღოთ მაღლა. უთხრა მგელმა.

შვილები გაწვენ ბალახზე, დედა მგელი კი რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიქცა. ძაღლები და მონადირე მას დაედევნენ.

— რა ცუდი დედა გვეყავს, ამბობდენ მგლის შვილები,—თითონ გაიქცა და ჩვენ კი აქ მიგვატოვა.

ბინდისას დედა მგელი დაკოდილი და გასისხ-ლიანებული დაბრუნდა შვილებთან.

— წამოდით ახლა ბინაზედა, გასსოვდეთ, როდესაც თქვენც შვილები გეყოლებათ უნდა ასრე მოიქცეთ, რომ მაღლები და მონადირები თავიდან აცდინოთ მათ.

მხოლოთ ახლა გაიგეს შვილებმა, რა ძრიელ უყვარდა ისინი დედას.

მებადურის ვაჟი-შვილი

(ჭლაპარი)

რასაც დასთეს იმას მოიმკი.

ანდაზა.

კარი პირველი.

I.

ეო ერთი მებადური,
ჰყვანდა ერთი ვაჟი-შვილი,
შესახედათ საამური
და ძალიან გულკეთილი.
ერთხელ მამამ თვისი ვაჟი
სათევზაოთ გაიყოლა,
რომ ეშველა მამისათვის,
რომ ესწავლა ბადის სროლა.
ზღვა დინჯი და წყნარი იყო,
მოკამკამე ცასა ჰგვანდა,
ჯერ ღელვათ არ აღძრულიყო,
ტალღა ტალღას თავს არ ჰბანდა.
დილის სიო აცქვეტილი
დაფრინავდა, სისინებდა
და იმისგან წამოშლილი
ჭავლი თრთოდა, ბიბინებდა.
მებადურმა ღვთის სახელი
მოიხსენა, თვის დამბადე
და თავისი ვაჟის ბედზე

გადისროლა ზღვაში ბადე.
დახე ბედსა! მოჰყვა თევზი,
რიცხვით მნელი დასათვლელი,
მაგრამ ერთი იმ თევზებში
იყო მეტად საუვარელი:
სისხლიანი ფერი ჰქონდა
მომზირალსა სანატრელათ,—
და შეექნა ფიქრობანი
ნაშოვარის მოსავლელათ...
მოიფიქრა... შვილსა უთხრა:
„წავალ ურემს მოვიტანო,
და მანამდი, შვილო, ფეხსაც
ნუ მოიცვლი აქედანო.
გაუფრთხილდი წითელ თევზსა,
საამურის ფერისასო,
თორემ ცოცხალს არ გაგიშვებ,
დაგიბნელებ სხივს მზისასო“.

II.

მარტოთ დარჩა ვაჟიშვილი
ნანადირევ თევზებთანა,
ოქროს თევზი მოეწონა,
ხელში წუნარათ აიუვანა;
ეალერსა, ეგურგურა,
ჩაიხუტა კიდეც გულში
და ჩაჴარდა ბოლოს ბავშვი
იმა თევზის სიბრალულში.
,,ნუ თუ უნდა გამოვაკლოთ
ესე თევზი სიცოცხლესო?!.

აფსუსია, აფსუსია
ადრე მოსწყდეს იგი მზესო“.
და გაუშო თევზი ზღვაში
ჰაწაწინამ, ლმობიერმა,
„წადი დიდსანს იცოცხლეო“,
უთხრა კიდეც ღვთისნიერმა.
თევზმა მეტად გაიხარა,
კვლავ მობრუნდა ბავშვისკენა,
ერმას მადლობა გადუხადა,
გაუმჟღავნა გულის ლხენა;
თავისი ფხა გამოიძრო
მისცა ერმას და დაარიგა:
„თუ რაიმე გაგიჭირდეს,
მოემწყვდიო ჭირსა შიგა,—
მოდი მაშინ ზღვისა ჰირათ,
მახსენე და მოგივალო,
გადაგიხდი მაგიერსა,
ვალსა არსად წაუვალო“.
სთქვა და ბოლო გაიქცია,
ჰირი ზღვისკენ დაიჭირა
და მხიარულ სიმკვირცხლითა
ზღვის უფსკრულში ჩაიძირა.

III.

მამა მეტად გაურისხდა
თავისნება ვაჟიშვილსა,
დასწყევლა და გააძევა,
მისცა ტანჯვას და სახმილსა.
უთხრა: „წადი, დაიკარგე,

სამუდამოდ გამშორდიო,
აღარ გნახოს თვალმა ჩემმა,
თუნდ მიწასთან გასწორდიო.''
ადგა იგი ბაქიაშვილი
და გაუდგა შორი გზასა,
კვნესით ჰქონდა გული სავსე,
აწვიმებდა ცრემლთა ზღვასა;
მამისაგან დაგმობილი
ვერ ჭეშოვებდა მარად სხვასა
და ჩამდგარი ობლობაში
განიცდიდა დიდსა წვასა.
მიდიოდა და საზღვარი
არა ჰქონდა მისსა სვლასა...
მიდიოდა, მაგრამ სადა?
არსით ჰქონდა ცნობა ერმასა.

IV.

მიდის ბავშვი და უეცრივ
თვალი მოჰკრა მსრბოლსა ირემს:
ძაღლებით წინ გამოეგდოთ
თოფ-მოჯერილ მონადირებს.
შეეცოდა ერმას ირემი,
რომ უბრალოთ მომკვდარიყო
და ტყეების წმინდა შვილი
კაცთა მსხვერპლი გამხდარიყო
გაექანა ირმისაკენ,
ხელი სტაცა ერმამან რქაში
და შესძახა მონადირეთ,
მეოფთა დიდსა ეიჟინაში.

„ჰეი, თქვენა! რა ნება გაქვთ,
რომ სდევთ ჩემსა საკუთრებას,
თავზე ხელი აგიღიათ,
ხჩადით უპატიოსნებას?!“
მონადირეთ შეეშინდათ
და ეგონათ მის პატრონი,
ერმას ბოდიში მოახსენეს
და დაბრუნდნენ უსიტყვონი.
ერმამ კი შემდეგ ის ირემი
ჩააბარა მინდორ-ტუესა,
უთხრა: „წადი, იარეო,
დაეწაფე სიცოცხლესა.
და ირემმა სიკეთისთვის
გამოიძრო ბეწვი თვისი,
უთხრა: „როცა გაგიჭირდეს,
მოგხვდეს ბადე ეშაკისი,
მოდი მინდვრათ, ამოიღე
ეს ბეწვი და მახსენეო,
იმავ წუთას იქ გავჩნდები,
ერმაო, ჩემსა სახელზეო,
გიშველი და აგისრულებ,
რასაცა მთხოვ მაშინ მეო“!
ეს უთხრა და გადირბინა
გრძელი ველი საჩქაროთა
და თავი ტუეს შეაფარა
ნაამებმა უსაზღვროთა.

V

ერმა წავიდა და აი კვლავ
სანახავი საბრალისი:
ცათ არწივი მისდევს წეროს,
შეჯმა უნდა არწივს მისი.
მაგრამ ბედზე წამოასწრო
ერმამ არწივის გულის წადილს
და კომბლისა შეტეორცნითა
შეაკვეცა ფრთა მის ქადილს.
წეროს მეტათ გაეხარდა
ეს სიკეთე უმაწვილისა,
გამოიძრო ფრთა და მისცა
ნიშნათ დიდი მადლობისა,
უთხრა: „როცა გაგიჭირდეს,
სახელი სთქვი ამ ფრთისაო
და იმ წუთას მოვალ შენთან,
აგისრულებ სურვილსაო“.
და აფრინდა ცაში ზლაზვნით,
ზე ასცილდა შორის ღრუბლებს
მდუმარებით რო ჭკოცნიან
ცაში აჭრილ მწვერვალთ შუბლებს.

VI

ერმამ განაგრძო სიარული
ისევ ისე, როგორც ძველათ,
და თავის გულკეთილობა
ჭვეა მგზავრად და ერთგულ მცველათ.
დაინახა, მონადირე
მისდევს მელას მსრბოლსა ველათ

და აღიძვრის ბრაზმოსული
მელიისა დასასჯელათ.
მაგრამ კალთა დააფარა,
ერმა შეექმნა მას მფარველათ.
მონადირემ ვეღარ ნასა,
მელა საით დაიკარგა
და იქიდან გულნატკენი
წამოვიდა, აიბარგა.
ემაწვილმა კი თვის კალთიდან
გაანთავისუფლა მელა,
უთხრა: „წადი იცოცხლეო,
ვით სცოცხლობსო ქვეყნათ ყველა“.
მელამ მეტის სიხარულით
მადლობაც კი ვეღარ უთხრა,
ადგა თვისი ბეწვი მისცა
და იმანაც ეს აუხსნა:
„მოიგონე გასაჭირში
მომცემი ამ ბეწვისაო
და მაშინვე იქ გავჩნდები
გადამწყვეტი ბედისაო“.
და გაცურდა მიწის ჰირათ,
მიეფარა ბალახ-ქვასა;
ერმამ კი ბეწვი შეინახა
და გაუდგა ისევ გზასა.

(დასასრული იქნება).

ი. მჭედლიშვილი.

როგორ შემოიღეს პირველათ ცული.

ს მოხდა ძველათ, მრავალი წლების და საუკუნოების წინათ. მაშინ ჩვენი დედა-მიწა მოფენილი იყო გაუვალი ტყეებით, მრავალი წყლებით და ჭაობებით. ტყეებში და მინდორ-ველათ მეფობდენ უზარ-მაზარი გარეული ნადირნი. ადამიანიც მაშინ უფრო ტანოვანი და ღონიერი იყო, მაგრამ იგი იყო მოუსეშავი, სასტიკი და შეუბრალებელი ველური. ტან-საცმელი მისი ნადირის ტყავი იყო. ამათ მაშინ ერთმანერთთა შორის მუდმივი გაცხარებული ომი ჰქონდათ. გარეულ მხეცებზე ნადირობდენ და ამითი იკვებებოდენ.

ისინი ჰატარ-ჰატარა თემებათ ცხოვრობდენ. თითეული თემი ცხოვრობდა სულ განმარტოვებით და მეზობლის თემზე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა; ერთი მეორეს არცა-კი იცნობდენ, გამუდმებული შუღლი და ჩხუბი ჰქონდათ, რომელიმე მდინარის ან კორდის ხელში ჩასაგდებათ. თუ დათვი ან რომელიმე სხვა ნადირი შეხვდებოდათ, ხოლო გაქცევით თუ უშველიდენ თავს, რადგან მაშინ ძათ თავის დასაცავათ

ქვისა და ჯოხის გარდა არავითარი სხვა იარაღი არ მოეპოვებოდათ.

ერთხელ ტეის ნაპირას შეხვდენ ორი ველური თემი ერთმანეთს. თითეულს მათგანს უნდოდა დაჰპატრონებოდა ამ ადგილს. არც ერთს არ უნდოდა მეორესთვის დათმობა. ბოლოს, რომ ვერ შეთანხმდენ, გადაწყვიტეს საქმე ომით გაეთავებინათ. დაიწყეს მზადება ომისათვის: მთელი ღამე ზიდავდენ ქვებს, ჯოხებს კეტებს. ამ საქმეში ყველა იღებდა მონაწილეობას: მამაკაცები, დედაკაცები და ბავშვებიც, რადგანაც იმ დროში ომში გადიოდენ მამაკაცების გარდა — ბავშვებიც და ქალებიც.

მაგრამ ომის დროს აღმოჩნდა, რომ ერთი თემი უფრო მცირე რიცხოვანი და ღონით ნაკლები იყო, ვიდრე მეორე, ვერ გაუძლო ძლიერ მოწინააღმდეგეს და ბრძოლის დაწყების თავშივე უკან დაიხია და გაიქცა, მხოლოთ ორი-სამი კაცი მსუბუქათ დაჭრილნი დატოვა ბრძოლის ველზე.

გამარჯვებული თემის წინამძღოლი, გარახი, ის იყო უნდოდა დასდევნებოდა უკან გაქცეულ მტერს, რომ უცრათ მის წინ წამოვარდა ერთი დაჭრილთაგანი, ათი წლის ბიჭი, ტოლი და წლის ძოზიარე გარახის ქალიშვილისა ზიკასი, ეს უკანასკნელიც იღებდა მონაწილეობას ომში. თურმე ქვას ბიჭისათვის მუხლი დაეკოდა. ის სიბრალულით მიაშტერდა გარახს, გარახმა კი აიღო მაღლა ხელი, დამუქა თავისი ძლიერი მუშტი და უნდოდა ერთი დარტყმით გამოესალმებია წუთი სოფელს ბავშვი. ამ დროს

უმცროსთ უკანიდან თავისი ქალიშვილის ზიკას ხმა მოესმა:

— გარახ!

წინამძღოლი მოტრიალდა.

— ეს ბიჭი ძაჩუქე! უთხრა ზიკამ.

გარახმა ძირს დაუშვა ხელი და განაგრძო თავისი გზა. „რა ძენაღვლება!? დაე ზიკამ წაიყვანოს ის და გაისადოს თავის მონა-მოსამსახურეთ“, გაიფიქრა გარახმა.

მართლაც ამის შემდეგ ის ბიჭი დასახლდა გარახის ოჯახში და მას დაარქვეს სახელათ ომდუ.

თუმცა ბავშვები, ზიკა და ომდუ, ლაპარაკობდენ სხვა-და-სხვა ენაზე და ერთს მეორესი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ეს არ უშლიდა მათ დამეგობრებას. მაშინდელი ადამიანის ენა ძლიერ ღარიბი იყო, მათ შეეძლოთ ლაპარაკი მხოლოდ აუცილებელ საჭიროებაზე.

სანამ ომდუ ავათ იყო, ზიკა უვლიდა მას: კრეფდა სხვა-და-სხვა სამკურნალო ბალახებს და ადებდა მას დაშავებულ ფეხზე. ზიკას სასიხარულოთ ომდუ მალე მოკეთდა და მას შემდეგ ისინი ერთი მეორეს არ შორდებოდენ. სულ ერთათ თამაშობდენ და ცელქობდენ.

— წავიდეთ სათევზაოთ! ანიშნებდა ერთი მათ-განი მეორეს და მოჰკურცხლავდენ მდინარისკენ, შეიარაღდებოდენ წვრილი ჯოხებით, იქ მდინარის ერთ ნაპირას ერთი წამოწვებოდა, მეორე—მეორე ნაპირს, დიდხანს წენარათ, გაუნძრევლათ იწვენ და უცდიდენ, სანამ მოდიდო თევზი არ ამოცურდებოდა მაღლა. მოჰკრავდენ თუ არა თვალს თევზს, ისინი მარჯვე ჯოხის დაკვრით კლავდენ და იქვე უმათ შეჭამდენ.

— წავიდეთ სანადიროთ! ანიშნებდა ხან-და-ხან ომდუ ზიკას და გაიქცეოდენ ტეიისკენ, ამოეფარებოდენ ჩირგვებს და დიდხანს სულ-განაბული ისხდენ ასე, სანამ კურდღელი ან მაჩვი არ გამოირბენდა და არ გახდებოდა მათი ჯოხის მსხვერპლი.

ერთ მშვენიერ დილას, გარახი და მისი ცოლი წავიდენ ტეეში გარეულ ღორზე სანადიროთ. ომდუ და ზიკა სახლში დარჩენ და თამაშობდენ გამოქვაბულის ახლო, რომელიც მათ საცხოვრებელი სახლი იყო. ისინი აგროებდენ დიდრონ ქვებს, ერთ ალაგს უერიდენ თავს, არტყამდენ ერთი მეორეზე, რომ გამოეკვესათ მისგან ცეცხლის ნაპერწკლები, ისროდენ ქვებს სხვა და სხვა მხარეს და ეჯიბრებოდენ სროლაში ერთი მეორეს.

უეცრათ ომდუმ შეამჩნია ერთი ისეთი ქვა, რომელიც თავის დღეში არ ენახა. ეს ჰრტყელი ქვა იყო, რომელსაც ერთი გვერდი ჩლუნგი და სქელი ჭქონდა, მეორე კი თხელი, წვრილი და წვეტიანი იყო.

სქელ გვერდზე ამ ქვას ნახვრეტი უჩანდა, მაგრამ ეს ნახვრეტი არ იყო კაცის ხელით გაკეთებული, ადამიანმა ჯერ კიდევ არ იცოდა ქვის გათლა. არა, ის თვითონ ბუნებით იყო ასეთი.

დიდხანს იქცევდენ თავს ბავშვები ამ ქვით. შემდეგ ომდუს უეცრათ აზრათ მოუვიდა ნახვრეტში გაეყარა კეტი. გაუყარა კეტი და დაუწყო ქვას მიწაზე ცემა, რომ კეტი უფრო ღრმათ შესულიყო ქვაში და მართლაც კეტი ისე მჭიდროთ შევიდა ქვის ნახვრეტში, რომ მისი წამოძრობა აღარც კი შეიძლებოდა, მაშინ ომდუმ აიღო თავისი ახალი სათამაშო, დაიჭირა მაგრათ ხელში და მოისაზრა, რომ თუ ის წვეტიანის მხრით დაარტყამდა რასმეს, მისი იარაღი უფრო ძალას გამოიჩენდა. ომდუმ მოუქნია ეს ქვა ჯატარა ახალგაზრდა ხეს, ხე მაშინვე გადატეხა. ბავშვები განცვიფრდენ, ასეთი რამ თავის დღეში არაფერი ენახათ.

— „აბა, კიდევ მოუქნიე რამეს! უთხრა ზიკამ ომდუს.

ომდუმ მოქნია ის ხის ტოტზე და გადატეხილი ტოტი მაშინვე ძირს გადმოვარდა. ამის დანახვაზე ზიკამ მხიარულათ გადაიკისკისა, გამოართვა ომდუს იარაღი და დაარტყა ის მუხის გამხმარ ძირს, მუხის ძირიც მაშინვე გადაიჭრა. ზიკას შეეშინდა. მან უწინ რამდენჯერმე სცადა მუხის ძირის გადატეხა, მაგრამ თავის მიზანს ვერ მიახწია და ახლა კი ასე უეცრათ და ადვილათ გადაიჭრა მუხის ხე! ზიკამ ხელიდან გააგდო იარაღი, რომელიც ასეთი იდუმალის ძალით იყო აღჭურვილი. თუმცა ომდუ არ იყო მაინცა და მაინც მშიშარა, მაგრამ ისიც შეაფიქრიანა ასეთმა ძალამ. მან კარგათ იცოდა, რომ თუ ქვას ან კეტს ცალ-ცალკე ისმარდა, ასეთი ტოტის ან ხის გადატეხა შეუძლებელი იყო და მას ვერ წარმოედგინა ახლა კეტი და ქვა ერთად შეერთებული, რათ იჩენდა ასეთ საშინელ ძალას. მან დააგდო მიწაზე თავისი სათამაშო და შეშინებულმა დაიწყო უკან-უკან დაწევა. ის შიშობდა, რომ ეს უცნაური ქვა კეტით არ წამოვარდნილიყო ზეზე, არ ესარგებლა თავისი საშინელი ძალით და მისთვის რაიმე ზიანი არ მიეყენებინა. მაგრამ ცული არ ინძრეოდა და არც რაიმე სიცოცხლის ნიშანი ეტყობოდა. ბავშვები დამშვიდდენ: ისინი შემოუსხდენ ცულს შორი აბლო, მაგრამ ხმის ამოღებას ვერც ერთი ბედავდა და ვერც მეორე.

უეცრათ უკანიდან საშინელი ღმუილი შემოესმათ.

ბავშვებმა მოიხედეს და გაქვავდენ შიშისაგან. დიდი, უზარ-მაზარი რუხი დათვი, მძიმედ მოექანებოდა ჰირ-დაჰირ მათკენ. რა ექნათ? გაქცეულიყვენ? მაგრამ განა შეიძლებოდა გაქცეოდენ დათვს?

— ჩვენ დავიღუპეთ! ანიშნა ომდუმ.

— მართლა, კეტი?! მოაგონდა ხიკას და ორივენი თვალის დახამხამებაზე, ელვის სისწრაფით გაექანენ ცულისაკენ, რომლის ძალამ წინეთ ასე გაანცვიფრა ისინი.

დათვი დაედევნა ბავშვებს. როდესაც ის დაუახ-ლოვდა მათ, ომდუმ, გაფითრებულმა, შეშინებულმა, თვალების ბრიალით, თავგანწირულათ მოჰკიდა ხელი ცულს, ასწია ზევით, მოიმარჯვა ხელში და მოემზა-და, რომ ჩასცხოს. დათვი ღრიალით შედგა უკანა ფე-სებზე და ის იყო უნდოდა მივარდნოდა ბავშვს. ხიკამ საზარლათ დაიწივლა, მაგრამ ამ დროს მძიმე ცული ძლაავრათ დაეშვა დათვის თავზე, და დახეთ... საკვირ-ველებავ! ეს საშინელი მხეცი, რომელიც აქამომდე უძლე-ველათ ითვლებოდა, თავგატეხილი ძირს დავარდა, ერთი კი შეინძრა და მაშინვე ისევ ბარბაცით წა-მოვარდა და გაშმაგებული მივარდა ბავშვებს, ამ დროს ჰირველზე უფრო ძლიერათ მოქნეული ცული ხელ-მეორეთ დაეშვა მის თავზე; დათვი დაენარცხა მიწაზე და წამსვე სული დაანთხია. სწორეთ ამ დროს ტეი-დან გამოვიდენ სანადიროთ წასულნი გარახი და მისი ცოლი.

რამდენიმე დღის განმავლობაში გარახის ოჯახი და მთელი მისი თემი თაეკანს სცემდა ახლათ ნა-

შოვნ ცულს, როგორც ღვთაებას. ვერც ერთი მათ-
განი ვერ ბედავდა შეხებოდა ამ საშინელ იარაღს,
რომელმაც იხსნა ბავშვები ასეთ განსაცდელისაგან,
მაგრამ საოცარი იარაღი არ იჩენდა არავითარ სი-
ცოცხლის ნიშნებს და კაცის დაუხმარებლათ ის
უმნიშვნელო საგანს წარმოადგენდა. მხოლოთ მაშ..ნ
გაბედეს მისი ხელშიაღება და ხმარება. ამის შემდეგ
კიდევ ნახეს მეორე ასეთი ქვა, იმასაც გაუარეს კეტი
და გასარებულნი დარწმუნდნენ, რომ ესი არაღიც ისე
თივე ძალისა იყო, როგორიც ჰირველი.

ასე შემოიღეს ჰირველათ ცული. ამას შემდეგ
მსწრაფლათ მოედო მთელ ქვეყნიერებაზე ცული. ვე-
ლურები დიდი სიმარჯვით ხმარობდენ მას. ამ იარა-
ღით ისინი არა თუ მარტო სხვა-და-სხვა მხეცებს
ებრძოდენ, არამედ ისწავლეს აგრეთვე ამ იარაღით
სახლის აშენებაც.

ზიკა და ომდუ განუშორებლივ ერთად ცხოვრობ-
დენ. ომდუ ითვლებოდა სიკვდილამდის როგორც ჰი-
რველი გამომგონებელი და შემოქმედი ცულისა. მან
სახელი გაითქვა ნადირობაში და ომიანობაში, რო-
გორც უდიდესი და უჭკვიანესი წინამძღოლი აგრეთვე
ის მთელი თემის სიამაყე გახდა.

(თარგმანი)

ალ. ლორდელი.

ᲕᲐᲢᲐᲠᲐ ᲢᲐᲠᲘᲔᲚᲘ.

(დასასრული)

საშინელი შემთხვევა მოგზაურობის დროს.

საშინელი სიცხე იდგა გზაზე: სიცხისაგან შეწუხებული ხალხი და საქონელი ძლივ-ძლივობით ადგამდა გასურებულ დედა-ძიწაზედ ფეხს...ყველანი წყურვილმა შეიპყრო... საქონელს გამშრალი ენები გამოეყარათ და საცოდავათ ბღავდა... ხალხიც დიდ ტანჯვას განიცდიდა და გულის ფანცქალით ელოდა წყლის შოვნას, რომ გამშრალი ხახა და სიცხისაგან შეწუხებული ჯანი ამოემსოთ და ამ უდაბნო ადგილას სიკვდილს გადარჩენილიყვნენ.. ერთათ ერთი ტარიელი ითმენდა ყველაფერს და ამხნევებდა სხვებსაც... იგი ძალიან აფრთხილებდა, რომ სადმე ჭა დაენახათ, იქიდან არამც და არამც წყალი არ დაელიათ, რომ ესენიც ისე არ გაქვავებულიყვნენ, როგორც სხვები იყვნენ გაქვავებულნი. ეს ამბავი სიმამრისაგან ჰქონდა ტარიელს გაგონილი. იგი სულ უკან ჩამორჩა, რომ ყველასთვის შორი-ახლოდან ყური ეგდო და არავისთვის ნება არ მიეცა იმ წყლის დალევისა... მგზავრებმა რის ვაი-ნაჩრობით გადაუხვიეს მარცხნივ და ერთს ადგილას დაინახეს რამდენიმე ხე და ამ ხეებ შუა —ჭა. ამათ უფრო ძლიერ მოუნდათ წყლის დალევა; მისცვივნდნენ ჭას; სათი-

თაოთ ეველამ ჩამოირიგა ეს შესახედავათ მშვენიერი ანკარა ციცი წუალი და საქონელსაც დაალევინა. ტარიელი ცოტა უკან იუო ჩამორჩენილი და ვინემ მოასწრო იქ მისვლა, საიდღანაც გაჩნდა იმ ადგილას მეფე „ბაუ-ბაუა“ და ეველას მათრახი გადაარტუა და ეველანი გააქვავა. ტარიელს დაუგვიანდა იქ მისვლა და შველა-დახმარება უდროვო ღა იუო... მსოლოთ ღა ტარიელს გული აუჩუედა ამათი ცოდვით და თვალში ცრემლი მოერია... აათვალ-ჩაათვალიერა ეველა იქ მეოფი და მაი შორის ამისი „მზექალა“ აღარ მოჩანდა. დაღონდა და დაამარდა ტარიელი და გაიფიქრა—„უეჭველათ „ბაუ-ბაუას“ მოეწონა ჩემი ცოლი და იმან თან წაიეგანაო“.

დაიწეო ამ მეფის სადგურის ძებნა... გაიარა მრავალი ოღრო-ჩოღრო, არ დასტოვა არც ერთი კლდე და რის ვაი-ვაგლახით და წვალებით შორიდან თვალი მოჭკრა ორ კლდის შუა მშვენიერ სასახლეს... შევიდა შიგა და შენიშნა, რომ არავინ არ იუო იქ. ოთახები მეფის საკადრისათ იუო მოწეობილი! ეველა ოთახი დაათვარიელა და ერთს ადგილას შენიშნა მაგრათ ჩაკეტილი კარები... ჭკრა წიხლი, თქარა-თქურით შეანგრია კარები და მას კედელიც კი მიაეოლა... შევიდა შიგ და შენიშნა თავისი საყვარელი ცოლი... ერთმანეთი იცნეს, გადაეხვივნენ... უალერსეს და ამის შემდეგ „მზე-ქალამ“ უამბო ტარიელს თავისი თავ-გადასავალი:

— ჩვენ რომ წუალი დავლიეთ, ერთი მათრახის დაკვრით „ბაუ-ბაუამ“ ეველანი ქვათ გადაგვაქცია... მე

აღარაფერი მესმოდა, აბა გაქვავებულს რა უნდა ეფუ-
რებოდეს!.. არ ვიცი რამდენი ხანი ვიუავი ამ მდგო-
მარეობაში... მხოლოთ ისღა მახსომს, რომ დასუს-
ტებული და დარეტიანებული იღლიაში დამიჭირა და
აი აქ სასახლეში მომიყვანა და ბევრი ხვეწნის შემ-
დეგ თავისი საიდუმლო გამიზიარა... ესლა იმასა
სძინავს და რაც შეიძლება მარჯვეთ უნდა ვისარგებ-
ლოთ ამ შემთხვევით: შედი ჩუმათ მის ოთახში, მათ-
რახი იქვე ახლო უძევს, აიღე ეს მათრახი ერთ-
ხელ დაარტეი და იგი გაქვავდება ისე, როგორც
თვითონ სხვები გააქვავა. ერთხელ ის მეტათ არ და-
არტეა, თორემ იგი ისევ გაცოცხლდება და ჩვენ ცუდს
საქმეს დაგვაწევსო".

ტარიელი შევიდა მეფის ოთახში, აიღო მათრა-
ხი, დაარტეა მას და იმწამსვე გააქვავა...

მათრახი თან წამოიღო, შეეიდა ცოლის ოთახში,
და საჩქაროთ გამოიყვანა იგი იქიდან. მივიდა გა-
ქვავებულ ძმებთან. ყველას სათითაოთ გადაარტეა ძა-
თრახი და სუყველანი ფეხზე წამოდგნენ; ძველი გა-
ქვავებულებიც დაცოცხლა... ადამიანის, ცხენების
და საქონლების ხმაურობა აჯერებდა იმ არე-მარეს...
ყველამ გაიგო ვინც იყო ამათი დამხსნელი და დიდს
მადლობას უხდიდნენ ტარიელს... მხოლოთ უფროსი
ძმები ღვარძლითა და შურით იმსებოდნენ და ეძებ-
დნენ შემთხვევას, როგორმე დაეღუპათ თავისი ძმა.
„ბოროტი კაცი აღდგომასაც ბოროტია"—ესე იყო
ამათი საქმეც: ტარიელი მტლათ ედებოდა ყველას
და ამათ კი უნდოდათ ამის დაღუპვა... ტარიელმა

რა იცოდა ძმები რა სიბოროტეს უმზადებდნენ... ეს არსეინათ უვლიდა და თავს ევლებოდა უველას.

გაცოცხლების შემდეგ ამათ ისაუბეს, ჯანი გაიმაგრეს და გაუდგნენ გზასა.. კიდევ ბევრი გზა ჰქონდათ გასავლელი და ბევრი სიფათი თავ-გადასავალი! ტარიელი ამხნევებდა უველა ამათ და გულს უმაგრებდა. ერთს ადგილას კი დიდი ამბავი გადასდათ: გზაში უშველებელი ორმო დახვდათ და ვერც ასე წასულიუვნენ და ვერც ისე: მარცხნივ დიდი კლდე ჰქონდათ ამართული და მარჯვნივ ზღვა-მდინარე ჰქონდათ გასავლელი... შედგნენ და ფიქრობდნენ, როგორ დაემლიათ ეს დაბრკოლებაც... ტარიელმა აათვალ-ჩაათვალიერა ეს ორმო, შიგაც ჩაიხედა და შენიშნა, რომ ორმოში რაღაცა ბჭეკრიალებდა.. ასლანსა სთხოვეს, რომ ჩასულიეო და გაეგო თუ რა იეო ეს ბჭეკრიალა საგანი... ეს ჯერ დასთანხმდა და მერე კი განგებ უარი გამოაცხადა: მეშინიან, ვაი თუ დავიღუპოვო... ფირუზაც ასე მოიქცა. ჯერი ტარიელზედ მიდგა... ამან ასსენა ღმერთი და თოკ-მობმული ჩაეშვა ორმოში, თან ტომრებიც ჩაიუოლა. ტარიელმა მიიარ-მოიარა განიერი ორმო და შენიშნა, რომ ეს ორმო ოქროთი და თვალ-მარგალიტებით არის სამსე... ააძსო ტომრები და აიტანა ერთხელ; მეორეთაც ააძსო ტომრები და კიდევ ამოიტანა... ძმებმა ჰკითხეს: კიდევ ბევრია ამოსატანიო? ტარიელმა მიუგო:—ერთი საზურგავი კიდევ არისო... უფროსმა ძმებმა ერთმანეთს შეჰხედეს... ტარიელი მესამეთაც რომ ჩავიდა, ბოროტმა ძმებმა მო-

სჯრეს თოკი, უმცროსი ძმა ორმოში დასტოვეს და თვითონ არხეინათ გაუდგნენ გზას...

ტარიელი ორმოში.

ტარიელი დარდმა და ტანჯვამ შეიპყრო!.. არ იცოდა, როგორ მოეხერხებინა იქიდან ამოსვლა: ორმოს კედლებათ უშველებელი კლდეები ჰქონდა ამართული და იატაკი ჰიტალო ქვებით იყო დაფენილი... იარაღიც არა ჰქონდა ტარიელს, რომ ეჭრა ეს ქვები და გაენთავისუფლებინა თავი!.. ბევრხან იყო ფიქრში და საგონებელში და სულ ზევით იხედებოდა: ეგები ვისმე შევატყობინო ჩემი გაჭირება და როგორმე თავი დავიხსნა ამ ტყვეობიდანაო.. მხოლოთ ესღა ახარებდა ამას: სამართლიანი მზე აწვდიდა თავის მადლიან სხივს ორმოს და მის ჰაწაწინა ნაწილს ანათებდა... ტარიელი ორი დღე და ღამე იყო ორმოში... მესამე დღეს კი შენიშნა, რომ ორმოში ჩამობნელდა. ტარიელს ჯერ ეს ეგონა: ალბათ დედა-მიწაზედ ღამე დადგა და ქვესკნელშიაც ამისთვის ჩამობნელდაო!.. კარგათ დაიწყო მაღლა ცქერა და თავისი გამჭრიახე თვალებით შენიშნა, რომ ეს სიბნელე ღამისგან არ იყო: უზარმაზარი არწივი გადაჰფარებოდა ორმოს და უფსკრულში იხედებოდა — იქნება აქ მაინც ვიშოვნო საკვებავი და ერთი კარგათ გამოვძღეო!.. ტარიელმა კარგათ იცოდა არწივის ადათი: მაშინათვე გატიტვლდა, ბარძაყიდან ერთი დიდი ნაჭერი სორცი გამოუჭრა და აუშვირა მაღლა არწივს. არწივს სისხლის სუნი ეცა და მაშინათვე

ჩაეშო ორმოში. ჯერ ჩასულიც არ იყო, რომ ტარიელმა ფეხში წაავლო ხელი და შეშინებული არწივი ელვასაებრ ისევ ზევით ამოფრინდა და ტარიელიც თან ამოიყოლა. უნდოდა ზევით-ზევით წასულიყო, რომ ტარიელმა ხელი გაუშვა: არწივი ცას მიეკრა და ტარიელი კი ძირს დაეცა რბილ ადგილზე. დაჭრილსა და დაგვებილ ტარიელს ღრმა ძილით ჩაეძინა.

„მზე-ქალას" ტანჯვა-ვაება და ტარიელთან შეხვედრა.

ტარიელი რომ ორმოში ჩაუშვეს, ძმები არხეინათ, მოულოდნელი სიმდიდრით ხელში, მიადგნენ სახლსა და მიეცნენ ლხენას!.. მხოლო „მზე-ქალა" იყო გაჭირებული და დასევდიანებული: ქმრის დაკარგვა გულს ულარავდა და თვალ-ცრემლიანი ევედრებოდა ღმერთს ქმრის დაბრუნებას და ძის უვნებლად ნახვას. ეს ხოშ ასე დარდში და მწუხარებაში ატარებდა თავის დღეებს, მაზლები და დები უარესს უშვრებოდნენ: თავიანთთან არა სვამდნენ, სულ ებუზღუნებოდნენ და ბური რა არის, ამასაც კი არ აჭმევდნენ. ერთხელ უბრძანეს კიდეც კარგი ტანისამოსის გახდა და მონის ტანისამოსის ჩაცმა: შენ მოსამსახურე გოგო ხარო და მონის ტანისამოსით უნდა იარო. საცოდავმა ჩაიცვა მონის ტანისამოსი და შეუდგა მუშაობას: დილით მამლის ყივილისას ადგებოდა, მიჭვივდა-მოჭვივდა, ებს ბირს აბანინებდა, მაზლებს ფეხს უბანდა და მადლობის მაგიერ ლანძღავდნენ და ათრევდნენ.

„მზე-ქალა“ რომ ამ ოოვაში იყო, მაშინ ტარიელი იდგა გზაზე და მიისწრაფოდა შინისაკენ, რომ ჩქარა ენახა თავისი მვირფასი მეუღლე და დამტკბარიყო იმისი ხილვით. გზა დიდი ჰქონდა კიდევ გასავლელი, მაგრამ გული რომ ელის ვინმე საყვარელი საგნის ნახვას—განა იმას დაღლილობა შეეტყობა? ასე იყო ტარიელის საქმეც: რაც სხვა ცხენით სამ დღეს მოუნდებოდა, ტარიელი სამ დღეს უნდებოდა გავლას. ბევრი ტანჯვის შემდეგ მიაღწია კიდეც სოფლამდის... დაქანცულ-დადაგული იქვე ახლოს ქვეშ წამოწვა და ის იყო თვალი უნდა მოეტეუებინა, რომ დაინახა მონის ტანისამოსში შემოსილი ქალი; უშველებელი კოკა ეკიდა ზურგზე და წყაროსაკენ გადუსვია. თვალ-ცრემლიანმა ქალმა კოკა წყაროს მიუდგა, თითონ კი ჩამოჯდა იქვე ახლოს ქვაზე და უარესათ ამოუშო ქვითინი. ტარიელმა მაშინათვე იცნო და გამოეხმაურა:—ქალო! რა არის ეს შენი ოოვა? რამ დაგაღონა და ამ მდგომარეობამდის რამ მიგიყვანა? ქალმაც იცნო თავისი ტარიელი, სიხარულით გული აუჩქროლდა, მივარდა, მიუალერსა და ეველაფერი თავისი თავ-გადასავალი უამბო; დაღონდა თითონაც და ერთი სამათ მეტათ დაღონა თავისი ტარიელიც.

—წადი ეხლავე, ჩემო თვალის ჩინო, წყალი წაუღე იმ „ვეშაპებს“, ისევ ისე დაღონებული ეჩვენე; მუშაობის დროს ეველა მვირფასი ჯურჯელი მიუმტრიე-მოუმტვრიე, მე იქვე ვიქნები და შენს ოოვაცხოვრებას მე ჩემი თვალითა ვნახავო.

წავიდა ქალი, წუალი მიიტანა და შეუდგა ჭურ-ჭლის დარეცხვას; რაც რამ მეირვასი ჭურჭელი იუო სულ მილეწ-მოლეწა.. სმაურობაზედ გამოცვივდნენ მაზლები და ერთი ვაი-უშველებელი დააწიეს ამ ქალს. ის იუო უნდა ეცემათ კიდეც, რომ უეცრივ მოესმათ რისიანი სმა ტარიელისა და გაქვავებულები შესდგნენ. ტარიელმა დაუბრიალა თვალები ამათა და ცოლის დებს და ასე მიმართა: — ბოროტო სელებო! მე თქვენ-ზედ არ მინდა ხელები გავისვარო! მსოლოთ დღეი-დან გიბრძანებთ შეინოსოთ მონების ტანისამოსით და თქვენი მონის მონები გასდითო. ამ ეოფაში იქ-ნებით, ვინემ თქვენი ბოროტი გული არ მოინანიებს თქვენს ბოროტ საქციელსაო!

ამის შემდეგ ტარიელმა გამოაცხადა თავისი თავი ხელმწიფეთ და ჩაიბარა ეველა ავლა-დიდება. ხალხი ცას ეწეოდა სიხარულით; დღესასწაულობდა ასლანი-სა და ფირუზას მონობიდან დახსნას და კეთილი მეფისა და დედოფლის მოვლენას.

ალექ. ნათაძე.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი გ. ლეონიძეს მიერ)

კავკავ ლობეს ხელი შევყავ,
კაპასმა ძაღლმა მიკბინა.

—

არც იქმევა, არც ისმევა,
არცა ზედა გაისვლება.

—

ორი ოროლასა,
ოთხი ტოროლასა,
თორმეტი აჩიკორასა,
არც ერთი აფაჩუნესა.

გეოგრაფიული ჯვარი.



ამ ჯვარში ჩასმული ასოები, როგორ უნდა გადასვათ, რომ ორი ჩვენი ქალაქის სახელი გამოვიდეს.

ა მ ო ც ა ნ ა.

დღეს ქეთოს ეღლეობაა. ძალიან მხიარულათ არიან ქეთო და მისი შვიდი ამხანაგი. ბევრი თამაშობის შემდეგ ყველანი წავიდენ ყავის დასალევათ. შემოიტანეს ცხელ-ცხელი ქადა. ქეთომ აიღო დანა და სამი დანის გადასმით ქადა რვა ნაწილათ დასჭრა. ყველას თითო ნაჭერი ერგო. როგორ მოახერხა ეს ქეთომ?

გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

ამერიკის ერთ ქალაქში ქალბატონმა ჯემს კრამერმა შეამჩნია, რომ მისი ქათმები უფრო მეტ კვერცხებს სდებენ მაშინ, როდესაც ის პიანინოზე უკრავს. უნდოდა გამოეცადნა

მუსიკას ნამდვილათ გავლენა ჰქონდა თუ არა და თავისი პიანინო საქათმეში შეატანინა. გაიგეს თუ არა ქათმებმა მუზიკის ხმა ყველანი საქათმეში შევიდენ და საბუდარს მიმართეს. ამ დღეს ქათმებმა ურიცხვი კვერცხი დასდეს.

ამ ქალის მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს და იმ ქალაქის საქათმეები პატარ-პატარა კონცერტის დარბაზათ გადაიქცა.

—

ყმაწვილებო, ამიწერეთ ქვემოთ მოყვანილი სურათები და ვისი აღწერაც უკეთესი გამოდგება ჟურნალში დაიბეჭდება და საჩუქრათ ერგება ახალი წიგნი: **მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა.**



* *
*

ვირი და ცხენი ტყისკენ მიდიოდენ. უცბათ ტყიდან კურდღელი გამოხტა და როგორც კი ამათ თვალი მოჰკრა, ისევ ტყისკენ მოჰკურცხლა.

— ეს ვინ იყო? დაეკითხა ვირს ცხენი.

— არ ვიცი, სწორე გითხრა, ჯერ არსად შევხვედრივარ. ის კი შევატყე, რომ დიდი ჭკუის პატრონი უნდა იყოს.

— აგრე უცბათ რაზე მიხვდი, რომ დიდი ჭკუისა უნდა იყოს?

— რაზე მივხვდი და ყურებზე! იმასაც ჩემსავით დიდი ყურები ჰქონდა!

გამოცანებისა. წიგნი, სათვალები, ჩრდილი, მარაო.

ენსტიხოზი: ავყია
ალალი
გაზდა
ბებია
ირემი
გოგია
პაიჭი

(ეს ენსტიხოზი გამოიცნო არ. გაბიჩვაძემ.

ოთხი ერთნაირი რიცხვით 100 ასე უნდა დაიწეროს: 99 9/9.



საღამოს ჟამს.

საღამოს ჟამს მწუხრის ჰანგი,
გლოვის ხმებათ მოფრინდება,
მზე ჩაიცვამს ღამის მანდილს,
მოიწყენს და ატირდება.
დედის გული, ნაღვლით სავსე,
ნანას ეტყვის თავის პირმშოს,
ნანას ეტყვის მოკრძალებით—
შიშით რო არ დაიკვნესოს!..
დააძინებს...თვითონ კვნესის,
მწარედ კვნესის დედის გული,
შავი ფიქრი ტანჯავს დედას,
აგონდება დრო წარსული:
პირმშოს მამა აღარა ჰყავს,
ადრე ჰპოვა ბედი კრული,
შავ-ბნელ დროის მსხვერპლი გახდა
ქვეყნისთვის თავ-დადებული!..
ობოლ ქოხში დედა კვნესის
და გარედ კი ქარი მწარი
მძლეთ გაჰკივის და იქ, 'ძორით,
ზღვაც გრიალებს ბობოქარი!..
ესმის დედას ხმები იგი—
ესმის მძლავრი მოძახილი—
ფიქრობს, ამ გვარ ხმებით ზარდოს
მომავლისთვის თავის შვილი!..

გელა.

დიდების მაძიებელი!

ადრინდელ დროში, აზიის ერთ მდიდარ ქალაქ მოსულში, ცხოვრობდა ერთი ყველასაგან პატივცემული მოხუცი მოჰამედ-ალი. მას ბევრნი იცნობდენ და პატივსა სცემდენ, ზოგი სიმდიდრისათვის და ზოგი მისი გამჭრიახობისათვის. მოჰამედ-ალი ვაჭრობდა დედამიწის ყოველ ადგილას; ყველა მის პურ-მარილს აქებდა, ვინც უნდა ყოფილიყო მგზავრი ის თავისუფლათ შედიოდა მის მდიდარ სასახლეში. მოჰამედ-ალი ერთნაირათ მიიღებდა მდიდარსაც და ღარიბსაც, უცხოსაც და თავისიანსაც. სტუმარს შეიყვანდენ ხოლმე მდიდრულათ მორთულ ოთახებში, ემსახურებოდენ, მისთვის ყოველთვის მზათ იყო აბანო, საჭმელ-სასმელი, მოსასვენებელი. ყველას უყვარდა მოჰამედ-ალის საღი გონება, კარგი ხასიათი და გულწრფელობა. არა ერთხელ, ომიანობის და აჯანყების დროს ხალიფს მოუწვევია მოჰამედ-ალი და უკითხავს მისთვის რჩევა. ის არავისთვის არ იშურებდა გონივრულ დარიგებებს და ამიტომაც „მოსულის“ მცხოვრებლები მიდიოდენ მასთან თავიანთი საჩივრების შესახებ მოსალაპარაკებლათ. ყველა დიდ პატივსა სცემდა მის სიტყვას და ისიც ცდილობდა, შეერიგებინა წაჩხუბებულნი, დაჩაგრულს ყოველთვის გამოექომაგებოდა. მისი გადაწყვეტილება მიაჩნდა ყველას სამართლიანათ. მოჰამედ-ალის ჰყავდა ბევრი გულწრფელი მეგობარი, მათთვის არა ერთხელ მიუცია კეთილი რჩევა, ან დახმარებია სხვაფრივათაც. მოხუცი იყო თავ-დაბალი და არ ამაყობდა არც თავისი კეთილი თვისებებით, არც სახელით, რადგანაც ფიქრობდა, რომ რაც-კი გააჩნია მას ალაჰის წყალობით არისო.

მაგრამ მისი ნუგეში და სიხარული იყვენ მისი ორი ვაჟი-შვილი. როდესაც იგინი წამოიზარდენ მოჰამედ-ალი უკვე მოხუცდა, ყმაწვილებს დედა დიდი ხანია მკვდარი ჰყავდათ. უფროსი ვაჟი, ჯაფარი, იყო მაღალი, ტანოვანი. გამბედავი, და ცოცხალი თვალები ჰქონდა; ჯანსაღი და გონიერი იყო, სულით სწრაფი და მკვირცხლი; ბავშვობიდან ოცნებობდა გმირათ გამოსვლას, სახელის განთქმას, მიესწრაფებოდა საოცარ საქმეებისაკენ, უნდოდა ყოფილიყო პირველი ტოლ-ამხანაგებში: სწავლაშიაც და გასართობებშიაც.

უმცროსი შვილი ნურედინი იყო მგოსანი, ყოველთვის ჩაფიქრებული და ჩუმი. ყოველი ლატაკი და უმწეო ბავშვი ქალაქ მოსულში ხედავდა მისს სულის სინაზეს და კეთილ ხასიათს, თუმცა მისი გაკეთებული საქმენი არ იხედებოდენ.

უფროსს ძმას უყვარდა თოფ-იარაღის ჩხრიალი, სიმდიდრე, სიმხიარულე, გმირობის გამოჩენა, დიდების მოხვეჭა...

ნურედინს კი მოსწონდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, მდინარის დუდღნი მთვარიან ღამეში, ფრინველთა გალობა ბაღში, რიჟრაჟზე. მთელი საათობით ის რჩებოდა სასახლის ბანზე და გატაცებული ფიქრებით ადიდებდა ალახს და მოელოდა მისგან ყოველგვარ საკვირველებას.

ამბობდენ, რომ ჯმფროსი ცხელ, ნათელ შუადღეს ჰგავსო; უმცროსი კი წყნარ, მშვიდ საღამოსო. ძნელი სათქმელი იყო, რომელი სჯობდა. მოხუცს ორივენი ერთნაირათ უყვარდა. სიხარულით და თან შიშით შესცქეროდა შვილებს, როგორ იზრდებოდენ და ვაჟკაცდებოდენ ისინი.

— მე მინდა ვიყო გამოჩენილი გმირი, ხშირათ ეუბნებოდა ჯაფარი მამას და მაშინ მის სახეზე გამოიხატებოდა სიამაყე და გულადობა, მისი თვალები ელვარებდენ, ნაპერწკლებს აფრქვევდენ.

— ეგ ადვილი არ არის, შვილო, წყნარათ მიუგებდა მამა, და ხელს გადუსვამდა ხუჭუჭა თავზე—ნამდვილი დიდების მოხვეჭა ძნელია.

— მე მინდა ვიყო კეთილი, ამბობდა ჯერ კიდევ სულ პატარა ნურედინი და ჩაფიქრებული გაიყურებოდა ქუჩისაკენ.

იქ კი, სიცხეში, პაპანაქება მზეში, მტვერში, თავ-

შიშველნი მიდიოდენ მონები. ისინი მძიმეთ აბიჯებდენ. მათ მოსდევდა დატვირთული ქარავანი. საითკენლაც მიესწრაფებოდენ მოსამსახურეები, ეჩქარებოდათ აესრულებინათ თავიანთ ბატონების ნაბრძანები. სისწრაფით მიეშურებოდენ ჩადრში გახვეული ღარიბი დედაკაცები. აი ვინმე მთხოვარა ბიჭი გარბის ჩრდილიისკენ, რომ თავი შეიფაროს.

მაშინ ნურედინი ჰფიქრობდა რომ თვითონ"რა ბედნიერათ სცხოვრობდა, რა სიგრილეა იმის ქვის სასახლეში, და იქ კი, შეუსვენებლივ მუშაობდა ხალხი, აი იმ ბიჭმა არ იცის სად შეაფაროს თავი სიცხისა და წყურვილისაგან.

თვალ-ცრემლიანი ბავშვი შეხედავდა მამას, ისიც მიხვდებოდა მის ცრემლების მიზეზს და გააგზავნიდა მოსამსახურეს იმ ჰატარა მათხოვარა ბიჭის მოსაყვანათ. მოსამსახურე მიიყვანდა ბავშს ნურედინის მამის სასახლეში. მათხოვარას მისცემდენ საჭმელს, სასმელს, ჩასაცმელს, გაამხნევებდენ კეთილი სიტყვებით და ისიც მხიარული, ბედნიერი, ლოცვა-კურთხევით წავიდოდა.

შემდეგ, როდესაც ნურედინი წამოიზარდა და შეეძლო თავისუფლათ ამოერჩია ცხოვრების გზა, ის ხშირათ დილა ადრიან გავიდოდა სახლიდან. სახლში არავინ არაფერი არ იცოდა თუ სად მიდის.. ეს იცოდენ მხოლოთ მათხოვრებმა, ავათმყოფებმა, უსახლ-კაროებმა. ის ეხმარებოდა მათ, რითიც შეეძლო.

მისი გულ-კეთილობა ანუგეშებდა დაჩაგრულებს და მათ გაბოროტებულ გულში აქრობდა კაცისადმი სიძულვილეს.

ხშირათ ხედავდენ ქალაქის მცხოვრებლები, რომ საღამოობით ნურედინი ბრუნდება სახლში და თან მოჰყავდა ვინმე ავათმყოფი ან მათხოვარი; ბავშვები მხიარული კიჟინით მისდევდენ მას. სახლში რო მოიყვანდა ნურედინი ავათმყოფს მოუვლიდა, დააბინავებდა მას, მერე ისევ გამოვიდოდა ბავშვებთან, და სადმე ქუჩის მიყრუებულ კუთხეში მიწაზე დაჯდებოდა. ბავშვები შემოეხვეოდენ და ის უამბობდა ზღაპრებს, უმღერდა სიმღერებს, ლოცვებს. თითქმის არავინ იცოდა ნურედინის საქციელი. უფროს ძმას ხშირათ უკვირდა, თუ რა სიამოვნებას ხედავს მისი უმცროსი ძმა ამაში.

გადიოდა დრო და თუმცა ძმები არაფერში არა ჰგავდენ ერთმანეთს, მაგრამ დიდი მეგობრები იყვნენ და ერთმანერთი უყვარდათ.

II

ჯაფარი ჩადგა მეოცე წელიწადში. ის სულ იმ ოცნებაში იყო, რა ასპარეზი ამოერჩია. კაი ყმაწვილი ნასწავლი იყო, ნიჭი და ღონე მას არ აკლდა. ჯირითობაში და სროლაში ვერავინ აჯობებდა.

— მინდა დიდება მოვიხვეჭო, სახელი გავითქვა,—ამბობდა ფიცხი ყმაწვილი.

შემთხვევაც მალე მიეცა.

ხალიფამ გამოუცხადა ომი მეზობელ სახელმწიფოს. შეიქნა გაცხარებული ომი. საუკეთესო წინამძღოლნი სასიკვდილოთ დაიჭრენ, ჯარი გაიბნა, აბა, ეხლა კი დრო იყო მოეპოვა ჯაფარს სახელი. ნება სთხოვა მამას გაეშვა იგი საომრათ.

— სახელ განთქმულ, დიდებულ კაცათ დაგიბრუნდები, —ეუბნებოდა მამას წასვლისას შვილი.

მამა კი გაჩუმებული, მოწყენილი უყურებდა შვილს.

გავიდა წელიწადი, მეორე, მესამე. გათავდა ომი. ამ ხნის განმავლობაში ახალგაზდა ჯაფარმა მოიხვეჭა სახელი თავის გულადობით, მამაცობით და გამჭრიახობით. მან დაამარცხა მტრის ჯარი, წაართვა რამოდენიმე ქალაქი, წამოიყვანა ბევრი ტყვე. ხალიფის სამფლობელო გაფართოვდა და ყველას უნდა ეძლიათ ხალიფისთვის ბეგარა.

დიდი დღესასწაულია დანიშნული ქალაქ მოსულში. დიდებული, სახელ განთქმული სარდალი ბრუნდება ომიდან და უნდა გაიაროს თავის მშობელ ქალაქში. ხალხი გროვდება ქალაქის შესავალში. გზა მოფენილია ხალებით და ყვავილბალახით—აი აქ უნდა გაევლო ჯაფარს, ქალაქის დიდებას, სახელმწიფოს სიამაყეს, ხალიფის საყვარელს. მოხუცებულნი და ახალგაზრდანი, ქალები და ყმაწვილები, ყველანი მოუთმენლათ მოელოდენ მას და გაიყურებოდენ გზისაკენ. აი გამოჩნდა ცხენზე მჯდომი ჯაფარიც. ხალხი აღელვდა, გაისმა აღტაცებული ყვირილი. გამარჯვებულს მოსდევდენ ტყვეები ჯაჭვით შებორკილნი და ჯარით გარშემორტყმულნი.

მოჰამედ-ალი არ გამოსულა შვილის დასახვედრათ. ის უცდიდა თავის სახლში, დაყრდნობილი უმცროსი შვილის მხარზე. ნურედინს ძალიან უხაროდა ძმის მოსვლა და მოუთ-

მენლათ ელოდა. მოხუცი კი დამშვიდებული იყო. მამის სახლს რო მიუახლოვდა, ჯაფარმა შეაჩერა ცხენი, ჩამოხტა, და აღელვებული და სახე გაბრწყინებული მიუახლოვდა მამას. გმირმა მიწამდე თავი დახარა მამის წინაშე და როდესაც მოხუცმა წამოაყენა და გადაეხვია, ჯაფარმა ჩუმათ ჰკითხა:

— მამავ, ხომ დიდებული ვარ?

— არა, ჩემო შვილო, დაბალისვე ხმით უპასუხა მამამ.

არავის არ გაუგია ეს სიტყვები, მაგრამ ყველამ დაინახა ჯაფარს სახე როგორ მოელრუბლა და ცრემლები მოადგა თვალებზე; ყველამ დაინახა, როგორ ჩაჰკიდა მან თავი, მივიდა ცხენთან, შეახტა მას და ჩაფიქრებული და სახე დაღვრემილი განაგრძო გზა. არ ახარებდა მას აღარც აღტაცებული ხმა ხალხისა, აღარც ყვავილები, რომლითაც გზას უფენდენ.

მალე გავარდა ხმა, რომ სახელოვანი სარდალი, სახელმწიფოს ნუგეში—ჯაფარი სადღაც გადაიკარგა.

III

რამოდენიმე წლის შემდეგ აღმოსავლეთის ერთ დიდ სახელმწიფოში გამოჩნდა ერთი სწავლული, რომელმაც გაითქვა სახელი. ამბობდენ, რომ მან მოარჩინა მეფე მძიმე ავათმყოფობისაგან. იმასაც ამბობდენ, რომ მორჩენილ მეფემ აძლია მას დიდი ჯილდო, რასაც კი მოისურვებდა—არას დაუჭერდა. ახალგაზრდა სწავლულმა მოსთხოვა ხოლო ხრიოკი უდაბნო ადგილი, რომ მას ეცადნა ახალი საშუალებით მოერწყა და გაენოყიერებინა ეს უხეირო უდაბნო.

მართლაც სულ მოკლე ხანში მან უდაბნო აყვავებულ მდელოთ გადააქცია და ისე დაუბრუნა სახელმწიფოს. ახლა ამ ადგილას შეიძლებოდა დასახლებულიყო დიდძალი ხალხი. სახელმწიფოს ამითი დიდი სიმდიდრე მოემატა და ხალხი ადიდებდა ამ ახალგაზრდა სწავლულს ჯაფარს. დარწმუნებული იყვენ, რომ მან გაიგო ბუნების საიდუმლოებანი. არავინ იცოდა საიდან იყო მოსული ჯაფარი და ყველას ეგონა ზეციდან მოგვევლინაო.

ზაფხულის ერთ მყუდრო საღამოს, ღარიბათ ჩაცმული ახალგაზრდა მივიდა ქალაქ მოსულში და მოჰამედ-ალის სასახლეს მიადგა. დაარაკუნა შესავალი კარები. როდესაც მო-

სამსახურემ კარი გააღო, მან მოსახურავში სახე დამალა და სთხოვა სასახლის პატრონთან მიეყვანა. მოსამსახურეს არ უნდოდა სახლში შეეშვა უცნობი, მაგრამ შეიწყნარა მისი ხვეწნა—ვედრება და შეიყვანა თავის ბატონის საწოლ ოთახში. მოხუცებული, ტახტზე წამოწოლილი, ყავას სვამდა. უცნობი მორიდებით შეჩერდა კარებთან და მისცა მოჰამედ-ალის სალამი. ამ ხმაზე მოხუცი შეკრთა:

— ჯაფარ, შენა ხარ? წამოიძახა მოჰამედ-ალიმ.

— მე ვარ, უპასუხა ჯაფარმა.

— სად იყავი აქამდის, შეეკითხა მამა და წამოხტა მისაგებებლათ.

— მე ვეძებდი დიდებას და კიდეც ვპოვე. მითხარი, მოახწია შენამდის თუ არა შესანიშნავ ექიმის სახელმა, რომელმაც მოარჩინა ხელმწიფე?. გაიგე თუ არა სახელი გამოჩენილი სწავლულისა, რომელმაც უდაბნო, ხრიოკი ადგილები გადააქცია ნაყოფიერ მდელოთ? ის მე ვიყავი. ეხლა მე ვარ ქვეყნის დამპყრობელი მახვილით კი არა, მშვიდობიანობის მოციქული ვარ ყველანი ადიდებენ ჩემს სახელს, მითხარი, არც ეხლა მცნობ დიდებულათ?

მოხუცმა ნაღვლიანათ შეხედა მას და მშვიდათ, მაგრამ მკაფიოთ უპასუხა:

— არა!

— კიდევ არა! შეჰყვირა ვაჟ-კაცმა, განცვიფრებულმა ამ პასუხით; მერე ღრმათ ამოიოხრა, მამას მდაბლათ თავი დაუკრა და ის იყო—მიატოვა მშობელი ქალაქი.

IV.

კიდევ გავიდა რამოდენიმე წელიწადი.

ყველგან აღტაცებით კითხულობდენ შესანიშნავ ახალ მგოსნის ლექსებს. ვერ შეედრებოდენ უწინდელი მგოსნები ამას. ყველას პირზე ეკერა ჯაფარის ლექსები. ახალგაზრდა და მოხუცი ყველა სასოებით ახსენებდა ჯაფარის სახელს.

მისმა სახელმა მიაღწია მის სამშობლო ქალაქამდისაც.

ხალიფამ რომ გაიგო, უბრძანა მოეძებნათ იგი და მოეპატიჟნათ სასახლის მოლექსეთ. მაგრამ ჯაფარი იმალებოდა და მისი ბინა არავინ იცოდა

ერთხელ, დილა ადრიანათ მოჰამედ-ალის სასახლეს მიუ-ახლოვდა გამტვერიანებული დაღლილი მგზავრი, ყავარჯენზე დაბჯენილი. მიუხედავათ ამ ტანისამოსისა, მოსამსახურეებმა იცნეს ჯაფარი. სიხარულით შეიყვანეს ის სახლში. აქ ჯაფარ-მა დაინახა მამა. მოხუცი ლოცულობდა. იგი წელში მოხრი-ლი იყო, სახე დანაოჭებოდა, მაგრამ თვალების გამომეტყვე-ლება ადრინდელივით კვირცხლი ჰქონდა. ლოცვა რომ გაა-თავა იგი უწინდელი სიყვარულით მიუბრუნდა შვილს, უნდო-და მოხვეოდა, მაგრამ შვილი დაეცა მის მუხლებ წინ და აღელვებული ხმით ჰკითხა:

— ხედავ, კიდევ მოვედი, მამა ჩემო, შენთან, მინდა გა-ვიგო შენი განაჩენი. ჩემი ლექსები სულიერი საზრდოა ყვე-ლასათვის: მდიდრისათვისაც და ღარიბისათვისაც, სახელი ჩე-მი უკვდავია, მითხარ, ეხლა მაინც, განა დიდებული არა ვარ?

მამამ წამოაყენა შვილი, გადაეხვია და ნელის ხმით წაუ-ჩურჩულა:

— მეცოდები, შვილო, შენ ჯერ კიდევ ვერ გაგიგია, რა არის ნამდვილი დიდება!

— მე მოვიხვეჭ მაგ დიდებას, წამოიძახა ჯაფარმა.

— გსურს, მაგრამ ვერ მიაღწევ, უპასუხა მამამ.

ჯაფარი თავ ჩაღუნული გამოვიდა სასახლიდან და გან-შორდა ქალაქს.

V.

გავიდა კიდევ ხუთი წელიწადი. ერთ მთვარიან ღამეში მოჰამედ-ალი გამოვიდა თავის სასახლის ბანზე ჰაერის ჩასაყ-ლაპათ. ჩაფიქრებული იგი შესცქეროდა ვარსკვლავებით მო-ჭედილ ცას. თავი რომ დაღუნა, უცებ დაინახა ქუჩაში ვი-ღაც კაცი კედელთან აყუდებული. თითქოს ვერ ბედავდა სა-სახლეში შემოსვლას. მოხუცი დააკვირდა უცნობს, რომელიც ფეხ-შიშველი, უქუდოთ, ძონძებში გახვეული იყო და ზემო-დან გადმოსძახა:

— დაარახუნე კარი, მგზავრო, ნუ გეშინიან, ჩემი სასახ-ლის კარები ყოველთვის ღია არის მგზავრთათვის დღისითაც და ღამითაც. ჯაფარი შეკრთა, ხმა რომ მოესმა, მოშორდა კედელს, თავი მაღლა აიღო, რომ დაენახა ვინ ლაპარაკობ-და. მთვარემ გაანათა მისი გამხდარი და მოღალული პირი-

სახე. მოხუცი დააცქერდა და უცებ თავისი სუსტი მხედველობით, იცნო შვილი.

— ჯაფარ, შვილო ჩემო!

— მამავ, მოისმა დაბლიდან. ტირილი უშლიდა მას ლაპარაკს.—მამავ, შემომხედე; ყოველისფერი უარვყავი, სიმდიდრე, პატივი, სახელი—ყველაფერი... მე თავი შევიფარე უდაბნოში და ჩემი სიცოცხლე ღმერთს შევწირე. მარხვით, ლოცვით და მძიმე შრომით ვატარებდი დღეებსა ჩემსას, ვემსახურები მხოლოთ ღმერთს და მისგანვე მოველი ჯილდოს. მე უარ ვყავი წუთი სოფლის ყოველი სიკეთე, შევიგნე—რა პატარა რამ და უმნიშვნელო ვიყავი მე ჩემი სიამაყით, ახლა ყველას წმიდანათ მივაჩნივარ, მოწაფეები ყოველ მხრიდან მოეშურებიან ჩემთან. მაგრამ არაფერი არ მახარებს, მე ველი შენს განაჩენს. მითხარი, მამავ, გავიგე შენი აზრი თუ არა, მივახწიე თუ არა ნამდვილ დიდებას?

გაჩუმდა ჯაფარი და კანკალით ელოდა მამის პასუხს. მოხუცმა, უსიტყვოთ, ნაღვლიანათ შეხედა შვილს და ბოლოს წარმოსთქვა:

—რათ გინდა გაიგო ჩემი აზრი, განა სინიდისი შენი არ გეუბნება, რომ ჯერ არა ხარ ნამდვილ დიდების ღირსი. რადგანაც ჯერ კიდევ შენში ძლიერია სიამაყე და თავმოყვარეობა.

ლახვარივით მოხვდა ჯაფარს ეს სიტყვები და ქვითინით მიეყრდნო კედელს.

მოხუცი ჩამოვიდა ძირს, უნდოდა შვილი შეეყვანა სახლში, მაგრამ ქუჩაში არავინ დაუხვდა. ჯაფარი წასულიყო, აღარსად სჩანდა.

ალ. ფა—სი.

(დასასრული იქნება).



მტკვრის სათავე, ჭოროხი და თამარ მეფე

მგზავრის დღიურიდან.

(შემდეგი).



ამ სადაფიან სახლს, **ბაკანს** თითონვე ცხოველი **მარგალიტა** ამზადებს, როგორც რომ ყაჭის ჭია თავისთვის პარკს. თავისივე სხეულიდან გამონაჟონ მასალისაგან **მარგალიტა ქმნის მარგალიტის მარცვლებს** სხვა და სხვა სიდიდისას. **მიზეზი** რომელიც **აიძულებს** ცხოველს **ჰქმნას მარგალიტი**, ბევრგვარია: საკმაოა, მაგალითათ, ცხოველს სხეულში ჩაუვარდეს პაწია რამ კენჭი, ქვიშა, ანუ თავისივე ნიჟარის ხიწვი (ანაძრობი ნატეხი ეკალივით) შეერჭვას, ან **პარაზიტი**, (პაწია მუქთა ხორა ცხოველი) რომ შეუძვრეს *) —ესე ყოველივე ძრიელ ეჩოთირება ცხოველს, **ერგინება**, ელიტინება და გამწარებული მაშინათვე გამოჟონს სადაფის მაგვან მასალას, წვენს და ზედ თავზედ ესხმის დაუპატიჟებელ სტუმარს, წვენი თუ ლორწო იმ დრომდე იდენს, ვიდრე სრულებით შიგ არ ჩამარხავს შემოხიზნულს ანუ შემოსეულ არსებას თუ ნივთიერებას. მერე კი აღარას ეჩოთირება—დეე იდვეს ნიჟარში მაგრათ შეხვეული უცხო სტუმარიო.

,,მარგალიტის მარცვლები ან თავისუფლათ აწყვია ნიჟარის (ძვალს) და ცხოველის ხორც შუა, ან არა და ნიჟარის

*) თვალში რო რამე ჩაგვივარდება გვეჩოთირება და თითონ ბუნება ცდილობს გარეთ გამოიტანოს გამრავლებულ ცრემლის ნაკადულით.



კედელს შიგნიდან აქვს ზედ შეხორცებული. როცა მარგალიტის მარცვლები თავისუფლათ აწყვია (ძვალსა და რბილს შუა) ის მეტათ ფასობს, რადგანაც გაუფუჭებლათ მარცვლების ამოღება ძრიელ ადვილდება. ხოლო ზედ შეხორცებულის ძალათ ამოგლეჯის დროს კი მარცვლები **სახიჩრდებიან** ნაყვავილარსავით ჩოფურა ადგილები ემჩნევა, ფასში კლებულობს.

— ე და კნიაზ, ღმერთი გადღეგრძელებდეს, ადგილობრივ ნეტა რა ფასში იყიდება კარგი მარგალიტი?!

— მოთმინება იქონიეთ, ბატონო დანიელ, ყველაფერს ვაჭრულის თვალით კი ნუ უყურებ... ჰო და იმას მოგახსენებდით... ყოფილა ისეთი მაგალითიც, რომ ნიჟარი გადაუხერხავთ და შიგ სადაფის სისქეში მოულოდნელათ უპოვიათ (ხარატებს) მარგალიტის დიდი მარცვალი. ეს იმიტომ მომხდარა, რომ ზოგჯერ ახლათ გამონაჟონი სადაფი **წალეკავს ხოლმე მარგალიტს** და სრულებით ჩამარხავს კედელში.

„ვისაც ბედი გაულიმებს ზოგჯერ ერთსა და იმავე ბაკანში (ნიჟარში) 67—150 მარგალიტის მარცვალს პოულობს. ნიჟარს ანუ ბაკანს ისე პირდაპირ შუაზე ხლეჩენ, აპობენ ატამივით და ზოგჯერ იქვე ნაწიბურთან აწყვიან მარგალიტები

ისე, როგორც ჩაკვერცხილი დედალი გინახავთ. მაგრამ ყოველთვის კი არ ხვდება მარგალიტი. ზოგჯერ შეიძლება მონადირემ ასი ნიჟარი მეტი გახლიჩოს და ვერც ერთი მარცვალი მარგალიტი ვერ იპოვოს—გამოცდილი კაცები ირწმუნებიან, რომ თუ ნიჟარი გარედან სიპია და ლამაზი მოყვანილობისაა, ამ პრიალა ბრწყინვალე ნიჟარში **მარგალიტს** ნუ იგულვებო. სამაგიეროთ ოღრო-ჩოღროიანი, ხორკლიანი ნიჟარებისა უფრო იმედი უნდა გქონდესო...

— მერე ნეტა როგორ იჭერენ მაგ ცხოველებს—შეეკითხა ლექტორს ჯავახელი.

— მოგახსენებთ.. ავიღოთ მაგალითისთვის თუნდ **სპარსეთის ზღვის ყურე**. მარგალიტის ქმნელ ცხოველზე ნადირობის საქმეს განაგებს **მასკატის** სულთანი, ხოლო აღებ-მიცემობა განსაკუთრებით **ბანიანელ** მდიდარ ვაჭართა ხელშია. **შარიას** ყურედან მოყოლება, (დასავლეთით) ვიდრე კუნძულ **ბუდულფამდე** მისდევს უმთავრესი ადგილები და სადაც ვისაც კი სურს ყველას უფლება აქვს მარგალიტაზე ინადიროს, ამ ადგილებში დაცურაობენ აუარებელი ნავები ათასნაირ ჯურისა და სიდიდისა, საშუალოთ 10—18 ტონისა.

„რთველი იწყება თიბათვიდან და ვიდრე შუა ენკენისთვემდე გაცხარებული მუშაობაა. აქ მოდის კუნძულ **ბარეინიდან** 3500 ნავი სხვა და სხვა სიდიდისა; ამათ ემატება სპარსეთის კიდედან (ნაპირებიდან) 100 ნავი. აგრეთვე **ავაზაკთა კუნძულათ** წოდებულ ადგილიდან გამოდის 700 ნავი. ამ გვარათ **ოთხიათასზე** (4000) მეტი ნავი მუშაობს და და მთელი ზაფხული მარგალიტის ჭერას ენდება. თითო ნავზე მუშაობს 8—40 კაცამდე. მაშასადამე, თუ კარგი **დორანი** დაუდგა 30,000 მუშა ამხედრებულია ამ უდანაშაულო ბაწია ცხოველებთან სამტროთ, საბრძოლველათ. განსაზღვრული რამ ჯამაგირი არავის არ ეძლევა, ყველა მუშას წილი უძევს ნანადირევში, სარგებელში. რას იტყვით, რომ ეს ბაწია ცხოველები ბურს აქმევენ ასი ათასს სულს, მუშების ოჯახობაც რო ვიანგარიშოთ... შეიხ ნავთსადგურისა (სადაც რო ნავები ჩერდებიან), იღებს მცირეოდენ ბაჟს, გადასახადს—თითო ნავიდან მაგალითად 1 ან 2 დოლლარს... მუშათა საქმელს შეადგენს **ინდის ხურმა** (დანაკისკუდი) და თევზი. ამასთანავე სიამოვნებით ყიდულობენ ბრინჯს ინგლისელ მოვაჭრეთაგან...



„ყოველ ნავზე მომუშავენი ორ ჯგუფათ განიყოფებიან ხოლმე, ნახევარი წყალში მუშაობს, ზღვაში ჩადის, ხოლო მეორე ნახევარი მუშებისა ნავზე (მაღლა) რჩება. ზღვაში ჩამსვლელი სრულებით ტიტვლდება, მხოლოთ თეძოებზე აცვიათ თეთრი სამოსელი და თანაც წელზე ქამრით მიმაგრებული აქვს კალათი.

მაგარ თოკზე მიბმულია ქვა, ამ ქვაზე დგება ტიტველი მონადირე და ხელებით თოკს მაკრა ჩაკიდული, როცა ანიშნებს, ნავიდან მუშები ნელ-ნელა ჭახრაკით უშვებენ თოკს, ვიდრე მონადირე ზღვის ძირს (ფსკერს) უწევს, აქ ზღვის ძირზედ, იატაკზე მონადირე სწრაფათ აფათურებს ხელებს და რაც კი ნიჟარი მოხვდება სწრაფათვე კალათაში აგროებს, რო დაატყობს ახლა კი სული მიგუბდებაო, ჩამოჰკრავს თოკს და ნავში მყოფნი ამხანაგნი საჩქაროთ, იმ წუთასვე ზღვიდან ამოსწევენ მონადირეს, რომ ჰაერი შეისუნთქოს. უჰაეროთ, უსუნთქველათ ზღვაში ჩასულმა ადამიანმა დიდი ქება-ა, რომ 40—45—50 **წუთი** გასძლოს, მეტათ იშვიათია, რომ **ერთი წამი** *) გასძლოს უჰაეროთ, უსუნთქველათ. ამბობენ, რომ ზოგნი გამოცდილნი მონადირენი 60—70 და თითქმის რო 90 წუთსაც ახერხებენ წყალში დარჩენასაო, მაგრამ დიდათ საეჭვოა და მით უფრო დაუჯერებელია ზოგი ერთის აზრი, ვითომ ადამიანს შეეძლოს წყალში დარჩენა **ორი წამი** უჰაეროთ, უსუნთქველათ. .

*) ამ ბოლოს დროს ქართულ მწერლობაში ძალიან აურიეს ერთ მანერთში წამი და წუთი, ამიტომ გავახსენებთ მკითხველებს, რომ ერთი საათი არის სამოცი წამი (მინუტა), ხოლო ერთს წამს აქვს სამოცი წუთი (სეკუნდა).

„თუ მონადირეს ბედმა გაუღიმა, თითო ჩასვლაზე 8—10 ნიჟარი ამოაქვს. ისიც შეიძლება, რომ ერთ ადგილას მთელი გროვა ნიჟარები დახვდეს. მონადირე ყოველ ამოსვლაზე ნავზე კი არ ადის, თოკზე სდგას. ნანადირევს ამხანაგებს გადასცემს, თითონ სულს მოიბრუნებს, ორიოდე წამს დაისვენებს და ანიშნებს თუ არა ამხანაგები ჭახრაკს მოუშვებენ, ზღვაშივე ჩაიყურყუმელავებს. რა თქმა უნდა ასე ხშირათ სულის, სუნთქვის შეჩერება, ფრიად მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. გარდა ამისა ხშირათ ისიც მოხდება, რომ მონადირე ზღვის რომელიმე ონავარ თევზის მსხვერპლათ ხდება. ადამიანის თეთრს ხორცს უფრო ემტერება **ზვიგინი** (აკულა) და აგრეთვე **ხერხა** თევზი. ირწმუნებიან, რომ ეს თევზი ადამიანს ზედ შუაზედ გადახერხავს ხოლმეო.

„ზღვაში ნაშოვნ მარგალიტას ნიჟარს მთელი ტომრობით ერთს ადგილას აგროებენ, ძიწაზე ჰყრია ვიდრე ხორცი (ცხოველი) დალპება. მერე კი ხლეჩენ, აპობენ თვითეულ ნიჟარს, ეძებენ შიგ მარგალიტის მარცვლებს. მარგალიტის აღებ-მიცემობა აქ სპარსეთის ზღვის ყურეზე უწინ თურმე 300 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრიდაო, მაგრამ ახლა კი იმის მეათედსაც ვეღარ სჭრისო.

საუკეთესო მარგალიტს არა აქვს თავის განსაკუთრებითი რამ ფერი, მაგრამ ზოგჯერ ხვდება ყვითელი, ვარდის ფერი, მომწვანო, მოწითალო, რუხი, მონაცრისფერო, შავი და სხვ. ევროპაში დიდათ ფასობს სრულებით თეთრი, უმწიკვლო თოვლის ფერი მარგალიტი, ხოლო აზიაში უფრო მოყვითალო, ფერის მარგალიტს ხმარობენ. საზოგადოთ კი ფერადი მარგალიტი ძვირათ არ ფასობს, თუმცა კი ზოგჯერ არის ხოლმე ამისიც დიდი მოთხოვნილება. მარგალიტის გარეგან ფორმასაც, მარცვლის მოყვანილობას **ფასზე** დიდი გავლენა აქვს. ყველაზედ მეტათ ფასობს ბურთივით მრგვალი. მას მერე ძვირათ ფასობს **მსხალის** ფორმის მარგალიტი; აგრეთვე კარგს ფასშია კვერცხივით მრგვალი. დანარჩენი ფორმისა და მეტადრე თუ უსწორ-მასწოროც არის მდარე ფასში იყიდება.

„სიდიდითაც მარგალიტი (მარცვალი) სხვა და სხვა სიდიდისა ხვდება. მაგალითათ **კენსინგტონის** მუზეუმში Beresford Nope'-ს კოლლექციაში ინახება ერთი უშველებელი მარგა-

ლიტი. ამ უფასო მარგალიტს გარსი აქვს $4^1/_2$ დიუმი და წონით არის 18,000 გრანი ე. ი. სამას მისხალს იწონს ანუ **სამ გირვანქას**. წვრილი მარცვლები, ყიყმატი მარგალიტი ცალობით, თითოობით კი არა წონით, გირვანქობით იყიდება, ამასაც გარჩევა უნდა. ფასი იმაზედაა დამოკიდებული რა ღირსებისაა და თანაც ერთს უნცში, მაგალითათ რამდენი მარცვალი აიწონს, საზოგადოთ ბაზრის ფასია უნცი 150 მან. (უნცი შვიდ მისხალზე ცოტა მეტია), ასე რო მისხალი ორ თუმნათ მოდის, ხოლო სხვილი მარგალიტი ცალობით, თითოობით, თვლით იყიდება, კარგი ღირსების მარგალიტი თუ წონით ერთი კარატია (კარატი ოთხი გრანია ე. ი. ხორბლის მარცვალს ოთხს იწონს) 50 ფრანკი ღირს ანუ 12—13 მანეთი. ამაზედ ზევით რამდენ კარატსაც მეტს იწონს, იმდენათ ყოველი კარატი უფრო და უფრო მეტს ფასობს. მაგალითათ ექვსი კარატის წონა მარგალიტი 1800 ფრანკი ღირს ე. ი. 500 მანეთი. კარგი ღირსების და **იშვიათი** სიდიდის მარგალიტი ძრიელ ძვირია. მაგალითათ ერთი მარგალიტი 126 კარატის წონისა გაიყიდა 80,000 ოქროთ უშველებელი მარგალიტი სპარსეთის შახისა მე XVII საუკუნეში დაფასებული იყო 1,600,000 ფრანკათ ე. ი. **ორმოც ათას თუმნათ!** (400,000 მან.)

„საზოგადოთ, თუმცა მარგალიტი ლ ბისი ელვარებაც მრავალ-ჟამიერია, მაგრამ უდიერი ხმარება უკარგავს პრიალს, წმინდა წყალს, ზოგჯერაც თვით ნივთიერება მარგალიტისა ირღვევა, ფხვიერდება. უმთავრესათ მარგალიტს აფუჭებს ნოტიო ადგილას შენახვა, ოფლი და ძრიელი სიცხეც. დაკარგული ელვარება შეიძლება კვლავ აღვადგინოთ. ამისთვის წყალში უმატებენ რამდენიმე წვეთს მარილის ანუ გოგირდის მჟავას და ამ სითხეში ავლებენ მარგალიტს.

„ზოგიერთ მდინარე წყალშიაც ხვდება იმ გვარი ლოკოკინა ნიჟარი, რომელშიაც მარგალიტის მარცვლებს პოულობენ, მაგ. ცხოველი Margaritana კარგს **მარგალიტს** იძლევა. აგრეთვე პოულობენ მარგალიტს შემდეგ ლოკოკინებში: Unio Anodonta და სხვ... დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ადამიანის აღვირ-აყრილმა სიხარბემ ზღვაში მარგალიტი გააჩანაგა—

ზღვის ძირიდან უწინდებულათ ველარ ამოაქვთ. ამიტომ ევროპიელთ განიზრახეს **მარგალიტას** (ცხოველის) განგებ მოშენება. შექმნეს საგანგებოთ, ხელოვნურათ იმ გვარი პიროგბები, ზღვის წყალის ტბა-აუზები, სადაც **მარგალიტას** შეუძლია ცხოვრება. ბრემი ამბობს ეს საქმე ჯერ 1865 წელსვე კარგათ მიდიოდაო.

ილ. ალხაზიშვილი.

საათის შემოღება

დროს მაჩვენებელი სოფელში.



ალაქებში დიდი ხანია ხალხი შეეჩვია საათის ხმარებას, ვისაც არა აქვს საკუთარი საათი ან საყდრის, ან ქარხნების დიდრონ საათებიდან ტყობილობს დროს.

მაგრამ სოფელი, მეტადრე, როდესაც მოშორებულია ქალაქიდან კარგა მანძილზე, ძველებურ მამა-პაპეულ ჩვეულებას მისდევს, უსაათოთ ტყობილობს დროს. მუშა ხალხი ტყობილობს დროს თავის სამუშაოს ერთჯერათ განაწილებით, ერთი დასვენებიდან—მეორემდის. ზამთარში, როდესაც დღეები უფრო მოკლეა, მუშა სამ ჯერათ ისვენებს. ზაფხულობით კი ოთხჯერათ: მზის ამოსვლიდამ—საუზმემდის (დილის ოთხი საათიდან რვამდე), მერე საუზმიდან სადილობამდე (შუადღემდის), მერე კიდევ სადილიდან სამხრობამდის (ოთხი საათი ითვლება) და ბოლოს მზის ჩასვლამდის.

როდესაც ღამდება და მომუშავე სოფელი ძილს მისცემს თავს, მაშინ დროს მაჩვენებლათ ხდება მამალი თავისი

ყიყლიყოთი. ეს არის სოფლის საათი. ამიტომ ხშირათ ამბობენ: „მამლის ყივილზე ავდექიო“, „მამლის ყივილამდის მეძინაო“, პირველათ რომ მამალმა დაიყივლაო,...მეორეთაო... მესამეთაო... ხალხში ნათქვამია: „პირველი ყივილი მამლისა—შუალამეაო, მეორე (რიჟრაჟის წინ)—ეშმაკების დათურგვნა არისო, მესამე კი (გათენებისას)—მზეს ცისკენ იწვევენო“.

ძველი დროიდან მამალი დროს მაჩვენებლათ მიაჩნდათ. აზიაში დიდი პატივი ჰქონდა მას დამსახურებული. ინდუსები, თავის საკვლთო წიგნში „ავესტაში“, მამალს იხსენიებდენ, როგორც წინასწარმეტყველს, რადგან ის საგანგებოთ ატყობინებდა გათენებას. როდესაც, დაახლოვებით მეექვსე საუკუნეში ქრისტეს დაბადების წინეთ, პირველათ მოიყვანეს მამალი ევროპაში—აქაც დააფასეს, როგორც სწორი დროს მაჩვენებელი.

რომაელებს ომში გასვლის დროს მამლები თან მიჰყავდათ და თავიანთ ომის ღმერთს, მარსს სწირავდენ.

აქ უნდა კიდევ მოვიხსენიოთ, რომ შუა საუკუნებში მოგზაურებს დაჰყავდათ თან შორ ქვეყნებში მამლები, როგორც ნამდვილი დროს მაჩვენებლები. მამლებს, როგორც სამხედრო ბანაკებში ისეც ყველგან, სარგებლობა მოჰქონდათ. ხომალდებზე, გემებზე უმაგითობა არ იქნებოდა. მამლის ყივილი ართობდა და აშხიარულებდა მიყრუებულ წყლის სივრცეში მოგზაურს. მისი ყიყლიყოს დაძახება აგონებდა მათ მოშორებულ ოჯახს და სახლ-კარს.

სამარადისო საათი.

ვისაც კი ყურადღება მიუქცევია საათების გამოფენისთვის ნახავდა რა საუცხოვო ხელოვნებით არის გაკეთებული სხვა-და-სხვა საათები! მაგრამ კაცის გამოგონილ ხელოვნებას აჯობებს ის საოცარი სამარადისო საათი, რომელსაც არც მომართვა უნდა, არც ისრები აქვს, არც ჩარხები და არც სხვა ზამბარაკი—დროს კი მაინც გვიჩვენებს. ეს საათი არის ციური მნათობის მიმოსვლა. ხალხი დიდი ხანია ამით ცნობილობს დროს. ახლაც სოფლელი კაცი, რომლისთვისაც საათი იშვიათი საშოვნელია, ადვილათ ცნობილობს მზის შემწეობით დაახლოვებით რა დროა, რომელი საათი უნდა იყოს. მართა-

ლია ადვილათ შესცდება კაცი ამგვარი საათის აღნიშვნით. მზის საშვალებით, რომ უფრო დანამდვილებით გამოიცნონ დრო, ძველათგანვე მოგონილი იყო მზის საათის უბრალო იარაღი: გრძელ სარს დასდგამდენ და მზისაგან მოცემული მისი ჩრდილი უჩვენებდა დროს. ამ გვარი მარტივი საათი უკვე ცნობილი იყო ძველ ბაბილონიაში და ეგვიპტეში. თვით ბიბლიაშიაც ნახსენები არის ამ გვარი საათი. აღმოსავლეთ ქვეყნებისაგან სხვა და სხვა გამოგონებათა შორის ბერძნებმა ესეც შეითვისეს. ბერძნებისაგან მერე გადავიდა რომაელებთან. ამ ორივე ხალხთა შორის მზის საათის ხმარება მალე გავრცელდა. აფინელი თუ რომაელი, როდესაც პატიჟობდა სტუმრებს სთხოვდა: მობრძანდით „ათზე ან თორმეტ ფუტის ჩრდილზეო“, შესაფერათ მზის საათისა.

მაგრამ სწორეთ დროს ჩვენება, მზისგან მოკემული ჩრდილის შემწეობით, ძნელი იყო, რადგან მზე ცაზე, შუადღისას, ხან მაღლა და ხან დაბლა გაივლის ხოლმე. ამიტომაც წელიწადის დროს შესაფერათ მზის საათზე ჩრდილის მაჩვენებელ ისრებს სცვლიდენ. ან არა და ყოველ თვისთვის ცალკე მართავდენ მაჩვენებელ ისარს შესაფერათ ჩრდილისა. რამდენათაც უფრო მარტივათ იყო მოწყობილი მზის საათი, იმდენათ უფრო ძნელი იყო იმის სისწორე. ამიტომ, თავი რომ არ შეეწუხებინათ, შეძლებული ხალხი აბარებდა ცალკე მონებს, რომ ყვირილით ეცნობებინათ ყოველი საათის გავლა. ამ გვარ ჩვეულებას მისდევდა შუავალ საუკუნეში ევროპაც. ქალაქის დარაჯები ეკლესიის სამრეკლოებიდან სიმღერით აღნიშნავდენ უმთავრეს დროს. ზოგი ერთ ძველ ქალაქებში აქამდისაც არ მოუშლიათ ეს ჩვეულება. მეტადრე გათენებისას დამღერიან ასე:

ღამე გაურბის ბრწყინვალე დღესა,
კეთილო ხალხო, აღსდეგით ძილით.

ქვიშისა და წყლის საათები.

ზოგჯერ ჩვენ სამზარეულოში სხვა და სხვა ავეჯთა შორის მოინახება კუთხეში მიგდებული ქვიშის საათი, რომელსაც იშვიათათ ხმარობენ ,ყვერცხების მოხარშვის დროს. ამას და წყლის საათსაც წინეთ ბევრი კარგი დრო უნახავთ. ათასი წლის წინათ მათთი სარგებლობდენ თავიანთი გამოკვლე-

ვებისთვის ეგვიპტეს, ჩინეთის და ხალდეის ვარსკლავთა-მრიცხველნი. დიდ ხმარებაში იყო, მეტადრე წყლის საათები, ბერძნებ და რომაელებთა შორის, რადგან ეს საათები ღრუბლიან დღეშიაც აჩვენებდენ დროს. ძველ დროის ხალხს დიდი ღვაწლი მიუძღვის წყლის საათის გაუმჯობესებაში, მაგრამ ძირითადი ცვლილება მაინც არ მოუხდენიათ: დროს აჩვენებდა ისევ მომდინარე წყალი. აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ თვით ამ ახლო დროშიაც ამ საათს სწავლულები დიდ ყურადღებას აქცევდენ, მეტადრე გალილეი და მეთვრამეტე საუკუნეში გამოჩენილი მათემათიკოსი ბერნულლი, რომელმაც მიიღო პარიჟის აკადემიისაგან ჯილდო „კლეოპატრის“, როგორც ეძახდენ ამ წყლის საათს, გაუმჯობესობისათვის.

საშუალო საუკუნე ისეთ ყურადღებას არ აქცევდა ძველ დროის სწავლას და გამოგონებას. ბევრი კარგი გამოგონება დარჩა უმნიშვნელოთ, მხოლოთ ზოგი ერთს მიაქციეს ყურადღება და მათ შორის საათსაც. ბერების წეს-რიგისთვის ძალიან საჭირო იყო, რომ დრო განაწილებული ყოფილიყო ერთი უფროსი მონოზან-ბერი ამბობდა, რომ „საათი გამოგონებულია კაცობრიობის საკეთილდღეოთო“. ამიტომ მან თავის უმწეო სავანეში გამართა თავის ბერებისთვის, როგორც მზის საათი, ისე წყლის საათი, რომელიც არა თუ ღრუბლიან დღეებში, ღამეშიაც უჩვენებდა დროს. ერთ-ერთ ბერს ჰქონდა ჩაბარებული ამ გვარი საათის მოვლა. „რადგან შესაძლოა ზოგჯერ საათმა ნამდვილათ დრო არ უჩვენოს, ასე სწერია მათ წესებში,—ამიტომ ხშირათ უნდა შეამოწმონ ვარსკვლავების და მთვარის მიმოსვლით და ან სანთლის დაწვით, რომ ბერები თავის დროზე დადგენ სალოცავათო“.

ზოგი ერთ შუავალ საუკუნეების მონასტრებში წყლის საათების მაგივრათ ზეთისას ხმარობდენ. ზეთი თანასწორათ იწვოდა და უფრო ნამდვილათ უჩვენებდა დროს.

მეხანიკური საათი.

ძველ დროში ცოდნას დიდი ფასი ჰქონდა. ჭკუა-გონებას სთვლიდენ ადამიანისთვის ღვთიურ თვისებათ. მთელ სიცოცხლეს ანდომებდენ ჭეშმარიტების ძებნაში. ოღონდ ჭეშმარიტება და სარგებლობა მოეპოვათ, თორემ მისი გამოყენება

არაფრათ მიაჩნდათ. ამავე დროს მათ იცოდენ ცხოვრებაში ცოდნის მოხმარება ადამიანის საკეთილ დღეოთ, მათ გასახარებლათ და ზოგჯერ გასართობათაც.

ძველთაგანვე ნასწავლნი ბერძნები და რომაელები თავიანთ მეცნიურ გამოკვლევების დროს აკეთებდენ სხვა და სხვა უცნაურ საგნებს, გასართობს და დროს გასატარებელს. ერთმა, მაგალითათ, ხისაგან მფრინავი მტრედი გააკეთა, მეორემ მოძრავი ლოკოკინა. ამ გვარივე საგნები შეუთანხმა წყლის საათს და ყოველ საათის მაჩვენებლათ ან ზარის რეკა მოისმოდა ან გუგული გამოვარდებოდა.

როდესაც მეცნიერება, გავრცელდა არაბეთში მათი ხელოვნება არ ჩამოუვარდებოდა არც ერთ ძველ დროის ხალხის ხელოვნებას. ბაგდადის ქალიფის ერთ-ერთ მშვენივრათ მორთულ დარბაზში, რომელზედაც თვალი რჩებოდათ ყოველ ქვეყნის დესპანებს, გაკეთებული იყო ოქროს და ვერცხლის ხე. მასზე თვრამეტი ტოტი, ამ შეფოთლილ ტოტებზე ისხდენ ჩიტები ლითონის და ძვირფასი თვლებისაგან გაკეთებული. ტოტები ინძრეოდენ, ფოთლებს შრიალი გაჰქონდათ, ფრინველები საოცარი ტკბილი ხმით გალობდენ. ევროპიელი დესპანები გაოცებულნი ისმენდენ და თვალს და ყურს არ უჯერებდენ.

სხვა ძვირფას საჩუქრებთა შორის მეცხრე საუკუნეში ხალიფმა გარუნ ალ-რაშიდმა დიდ კარლოსს გაუგზავნა, ნიშნათ მეგობრობისა, წყლის საათი. ყოველ საათის გავლის შემდეგ მოისმოდა ზარის რეკა, დაკეტილი კარები გაიღებოდა და გამოჩნდებოდა რაინდის ფიგურა. როდესაც საათი თორმეტჯერ დარეკავდა—გამოჩნდებოდა მეთორმეტე რაინდი, მერე ყველა თორმეტი რაინდი შევიდოდა კარებში და კარი მიიხურებოდა. ამის მნახველნი ევროპიელები ძალა უნებურათ დაფიქრდებოდენ, რომ მათთაც ურიგო არ იქნება მიჰბაძონ იმათ ხელოვნებას.

ამ გვარივე სურვილმა, მეათე საუკუნეში, გაიტაცა არაბეთში ერთი ღარიბი ყმაწვილი მწყემსი გერბერტი. იქაურმა ბერებმა აიყვანეს ეს მწყემსი და გაზარდეს. ყმაწვილს ისეთი განვითარება და ცოდნა მისცეს, რომ ბოლოს, სილვესტრი II სახელობით, რომის პაპა გახდა. გერბერტის მახვილმა გონე-

ბამ არაბეთის სწავლულებისაგან იმდენი შეიძინა რომ, როდესაც დაბრუნდა ევროპაში ყველამ იგი მოგვათ მიიჩნია. მან პირველათ შემოიღო ევროპაში არაბთა ციფრები, რომელიც ძალიან უადვილებს ყველას ანგარიშს. ამბობენ, რომ მანვე პირველათ შემოიტანა ევროპაში მექანიკური საათი. დანამდვილებით კი ის იციან, რომ არაბეთის განვითარების შედეგია ეს საათიც.

მართალია მეთორმეტე საუკუნეშივე ევროპიელებმაც დაიწყეს საათის ხმარება, მაგრამ არაბთა ხელოვნებას ვერ შეედრებოდენ. ნემეცების იმპერატორმა ფრიდრიხ II, რომელიც დიდი მეგობარი იყო არაბებისა, საჩუქრათ მიიღო 1232 წ. სულთანი სალადინისაგან საათი, რომელიც იმ დროის შესაფერათ ნამდვილ საოცრებას წარმოადგენდა. ის, გარდა საათის აღნიშვნისა, გვიჩვენებდა დღეს, ზოდიაქოს ნიშნებს და ვარსკვლავების მიმოსვლას.

ევროპიელებისათვის ამგვარი ხელოვნური საათები ძნელი გასაკეთებელი იყო. ცამეტ და თოთხმეტ საუკუნეებში ისინი კმაყოფილდებოდენ სამრეკლოს საათებით. ზოგიერთ მუზეუმებში ჯერ კიდევ მოინახება ძველებური საათები ტლანქი მოწყობილობისა ას ფუთიანი სიმძიმეებით.

მაგრამ მეთოთხმეტე საუკუნის დამლევს გამოჩნდენ ისეთნი პირნი, რომელნიც მეტათ ხელოვნურათ აკეთებდენ საათებს. მსწავლული ჯიოვანი დონდის გაკეთებულ საათის სანახავათ ქალაქ პადუაში მოდიოდა აუარებელი ხალხი. დონდიმ მთელი 16 წელიწადი მოანდომა ამ საათს. თანამედროვე ხალხის ფიქრით ეს ნამდვილი „ახალი სასწაული“ იყო. დონდის შესანიშნავ საათში 200 ჩარხამდის იყო, არამც თუ დღე და ღამე აღინიშნებოდა, თვით ვარსკვლავების მიმოსვლაც-კი.

შემდეგ საუკუნოებში კი ეს პადუას საათი დაჩრდილა სხვა საოცარ საათებმა. ზოგიერთ ძველ ქალაქებში შენახულია ცნობის მოყვარულთათვის საჩვენებლათ ამ გვარი ძველათ ძველი საათები. სხვათა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს სტრასბურგის საათს, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნეში გაკეთებული იყო ერთი დახელოვნებულ ხელოსანისაგან. ამ სამოცდა ათი წლის წინათ გააახლეს ეს საათი. გარდა სხვა და სხვა მოძრავი ფიგურებისა ის სინამდვილით გვიჩვენებს

წელიწადს, თვეს, რიცხვს და არ გამოტოვებს მანკიან წლის 29 თებერვალს. აგრეთვე აღნიშნავდა დღესაწაულებს, მზის ამოსვლა-ჩასვლას, მზისა და მთვარის ამოსვლას, მათ დაბნელებას, მთვარის შეცვლას, შვიდ ვარსკვლავთა მიმოსვლას და 110 ვარსკვლავთა კრებულს. ეს საათი სწორეთ სამარადისო საათია და გამოთვლილია, რომ ნამდვილათ 9993 წლამ-



დის გაჰყვება. სხვა ძველებურ საათებთა შორის შესანიშნავი არის ა მოყვანილი ჰერცოლ ბრაუნშვეიგის საათი.

ნიურბერგის კვერცხები.

ნემეცების ქვეყანაში არის ერთი ისეთი ქალაქი, რომელმაც გაითქვა სახელი თავისი დახელოვნებული ხელოსნების წყალობით. ეს ქალაქი ნიურბერგია. ახლა აქ აკეთებენ ხელოვნურათ ყმაწვილების გასართობ მშვენიერ სათამაშოებს. მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნოებში კი ნიურბერგი

ითვლებოდა მთავარ ქალაქათ ყოველ სამხატვრო ხელობისა. ამ ქალაქში გაკეთებულ ხარატოების, ოქრო-მჭედლების ხელოვნება მთელ ევროპაში განთქმული იყო. როგორც მემატიანე აქებდა და ადიდებდა სისხლითა და მახვილით გამარჯვებას, ისეც აღნიშნავდენ ხოლმე თან და თანობით ხელოვნების გამარჯვებას და წინსვლას. ხელმწიფეები და მეფეები ნიურბერგში ყოფნის დროს ყოველთვის ათვალიერებდენ ამ ხელოსნების საქვეყნოთ განთქმულ ნამუშავარს. მაგრამ, მიუხედავათ ასეთი ხელობის ცოდნისა, ისინი რჩებოდენ უბრალო მუშა-ხელოსნათ.

ესენი არამც თუ ხელოვნურათ მუშაობდენ, თანაც ნიჭიერი გამომგონებნი იყვენ. ამ გვარათ მეთექვსმეტე საუკუნეში პეტერ გენლეის სახელოსნომ პირველათ შემოიღო ჯიბის საათი. თანამედროვენი სამართლიანათ სთვლიდენ ამ ჯიბის საათს შესანიშნავ გამოგონებათ, რადგან მანამდისინ ხმარებაში იყო მხოლოთ დიდი მეხანიკური საათი, რომელიც დიდრონი მძიმე ქვებით მოდიოდა მოძრაობაში, ისიც მხოლოთ მაშინ, როდესაც საათი ჩამოკიდული იყო.

ერთი მსწავლული სწერდა ნიურბერგიდან: ყოველ დღე აქაურები სხვა და სხვა გასაკვირველ რამეებს იგონებენ. ერთმა ყმაწვილმა ხელოსანმა მოიგონა ისეთი ხელოვნური მექანიზმი, რომ განთქმულ მათემატიკოსებსაც განცვიფრებაში მოიყვანს... აი საქმე რაშია: ის აკეთებს უბრალო რკინისაგან საათს აუარებელი ჩარხებით, რომელნიც, რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს საათი, აღნიშნავს ზედი-ზედ ორმოც საათს. სიმძიმე—ქვები სრულებით არა აქვს და შეიძლება იმის ტარება ჯიბით ან ძეწკვით გულზე ჩამოიკიდოს.

გენლეის შემდეგ ეს ჯიბის საათები, რომელნიც მოძრაობდენ პრუჟინის შემწეობით სხვა ხელოსნებმაც გააკეთეს, რადგან ყველა თხოულობდა ამ „ცოცხალ კვერცხებს“, როგორც ეძახოდენ მაშინ ყველანი ამ გვარ საათს. მაგრამ ეს პირველათ შემოღებული პატარა საათი არ იყო ყოველთვის კვერცხის მინაგვანი. ხელოსნები სხვა და სხვა სახეს აძლევდენ ამ საათებს, ზოგი ჯვარის მინაგვანი იყო, რომ ყელზე დაეკიდათ, ზოგი შეიძლებოდა ფოლაქზე ან ბეჭედზე გაეკეთე-

ბინათ. ეს ახალი გამოგონება კიდიდან კიდემდე მთელ ქვეყნიერებაში შემოვიდა სახმარებლათ.

ამ გვარი პატარა საათები ხშირათ მოიშლებოდა, არც სწორეთ დადიოდა ⁄ მუდამ მომართვა უნდებოდა. სანამ ახლანდელი საათისავით სწორი და გამძლე იქნებოდა, არა ერთი საუკუნეები მოუნდა და მათზე მუშაობა დასჭირდათ მთელი ევროპის მრავალ გამჭრიახ მესაათეებს, ზეინკალებს, მათემატიკოსებს, ფიზიკის მცოდნეებს და ვარსკვლავთ მრიცხველებს. ყოველ საათის ნაწილს თავისი ისტორია აქვს, რომელიც მეცნიერების მთელ ნაწილს შეადგენს. მართლაც, ის პატარა კოლოფი, რომელშიაც არის ჩაწყობილი აუარებელი ჩარხები, პაწაწინა ჩაქუჩები და სხვა მრავალი პატარა იარაღები წარმოადგენს უკვდავს, მუდამ მომქმედს კაცობრიობის განვითარების გამარჯვებას.

ან. წერეთლისა.



ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა

(თომას ალვა ედისონი).

ფონოგრაფი.

ფონოგრაფის მოგონებამ ედისონს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა და მთელ ქვეყნიერებაზე ცნობილი გახადა.

ფოტოგრაფიის შემოღების შემდეგ საზოგადოებაში გავრცელდა აზრი, რომ ხმის გადაცემაც შეიძლება.

ერთხელ ინგლისურ ჟურნალში 1839 წელს სწერდენ:

„ჩვენ ახლა ვიცით ისეთი ქაღალდის გაკეთება, რომელიც აღბეჭდამს ყველაფერს, რასაც ვხედავთ. შეიძლება თუ არა მომავალში მოვიგონოთ ისეთი ამგვარივე ქაღალდი, რომელიც შეიძლებს აღბეჭდოს, რასაც გაიგონებს?“

მორუა, გამოჩენილი მკლევარი ქარისა და ქარიშხალის კანონებისა, ამბობს ერთ თავის წერილში:

„რა კარგი იქნებოდა, რომ დაგერს ფოტოგრაფიის მაგივრათ მოეგონა ქაღალდზე მეხანიკურათ დაწერა, რასაც ჩვენ ვლაპარაკობთ და მერე იმისი გადმოცემა“.

ერთხელ, როდესაც ედისონი უჩვენებდა და უხსნიდა ერთ ამერიკელ ღენერალს თავის მოგონილ ტელეფონს იმან შესძახა:

„მაშ, მისტერ ედისონ, არ გავა დიდი ხანი, რომ გამოიგონებთ ისეთ მანქანას, რომელიც აღბეჭდავს და გადასცემს კიდევაც ადამიანის ხმას“!

ედისონი სწორეთ იმ დროს ცდილობდა ფონოგრაფის მოგონებას და „იმ წუთში, მოგვითხრობს ის, როდესაც გავი-

ვე ეს სიტყვები ვიგრძენ, რომ თითქოს ღენერალმა ჩემ გულის სიღრმეში ჩაიხედა".

სწორეთ საოცრებაა! ზოგჯერ სულ უბრალო რამე იყო საჭირო, რომ ედისონი დასდგომოდა ნამდვილ გამოგონების გზას. ეს მეტათ ნათლათ გამოჩნდა ფონოგრაფის მოგონების დროს. საკმარისი იყო ერთი ნაპერწკალი, რომ ედისონის უდიდეს ფანტაზიას წარმოეშობა ბუნების მთელი გეგმები.

ერთხელ ედისონი ტელეფონთან იდგა და რაღაცას დამღეროდა. უცბათ შეამჩნია, რომ პატარა შტიფტიკმა თითი დაუფხაჭნა. მან განმეორებით გამოსცადა და შტიფტიკმა თითი ხელ ახლად დაუფხაჭნა. ედისონს თავში გაუელვა ათასგვარმა ბრწყინვალე აზრებმა. ნამდვილათ რომ შესაძლებელი ყოფილიყო და ამგვარ შტიფტიკს აღენიშნა, ჩაეწერა ადამიანის ყოველი ხმის მოძრაობა, მაშინ შეიძლებოდა ხელმეორეთ გაეტარებინათ ეს შტიფტიკები იმისგანვე ერთხელ დამჩნეულ კვალზე; ამ გვარათ მოლაპარაკე მანქანა წარმოიშობებოდა.

ეს აზრი ედისონს მოსვენებას აღარ აძლევდა. ამან სცადა იმ ქაღალდის ნაჭერზე, რომელსაც ხმარობდენ ტელეგრაფის გასაგზავნათ. მერე მან ხმა მაღლა ჩასძახა ტელეფონის ღუ-ლაში „ალლო". შტიფტიკმა დაფხაჭნა ქაღალდზე და როდესაც ედისონმა ხელ ახლათ გაატარა ქაღალდ ი შტიფტიკს სწორეთ იმ ადგილას, საცა დაფხაჭნილი იყო—გარკვევით მოესმა, თუმცა ძალიან დაბალი ხმით: „ალლო".

ეჭვი აღარ იყო, ედისონს იმედი მიეცა. მაშინვე ერთ წუთსაც არ გაჩერდა, თავისებური სისწრაფით შეადგინა გეგმა, დახატა ფონოგრაფი—ესე იგი ბგერის ხმის აღსანიშნავი და გადასცა თავის თანაშემწეებს, ხელოსნებს-გასაკეთებლათ.

როდესაც ედისონმა უთხრა, რომ მათ უნდა გააკეთონ ისეთი მანქანა, რომელმაც უნდა ილაპარაკოს—პირველათ მოხდა, რომ ყველა უნდობლათ შეეგება ამ წინადადებას.

ედისონის მეგობრებს დიდათ სწამდათ მისი შემომქმედი ძალა, მაგრამ იმათაც ეჭვი აიღეს; მის თანაშემწეებს ნამდვილათ ეგონათ, რომ ედისონი ამ ხელად დიდ მარცხს მიაყენებს მათ.

ჩარლზ ბეშლორსაც-კი, რომელსაც ედისონი ღმერთივით სწამდა, ახლა ეჭვი შეეპარა, თავი გადიქცია და უთხრა:

— დაგენაძლევები ერთ გოდორ ვაშლზე, რომ არაფერი არ გამოვა!

— კარგი, მე თანახმა ვარ მაგ სანაძლეოზე—სიცილით მიუგო ედისონმა.

ბევრი აღარ უფიქრია ედისონს. მაშინვე ერთ თავის საუკეთესო ხელოსანს კრეისსის მიანდო ამისი ყალიბის გაკეთება.

არ გასულა დიდი ხანი, რომ კრეისმა მოუტანა ედისონს მომზადებული ყალიბი. თითონ კრეისსიმ უნდობლათ უყურებდა ედისონის გამოგონებას და როდესაც წინ დაუდგა ამ მანქანის ყალიბი, თავი ვეღარ შეიმაგრა და დაცინვით წამოიძახა:

— ინებეთ, აი თქვენი მოლაპარაკე მანქანა!

ედისონმა ყურადღებით დაათვალიერა, მერე დაიხარა და ფონოგრაფში რაღაც სიტყვები ჩასძახა.

კრეისსი იქვე იჯდა, ყველა დამსწრე ყურადღებით ელოდა, რა გამოვაო.

— ახლა ფონოგრაფის რიგია გაიმეოროს,—წამოიძახა აღელვებით ედისონმა.

ერთი წუთის შემდეგ მოისმა დაბლათ, მაგრამ გარკვევით ედისონის სიტყვების განმეორება.

კრეისსის ისე შეეშინდა, რომ კინაღამ სკამიდან გადმოვარდა. ედისონი სიხარულისაგან გაფითრდა და აღელვდა.

კარგა ხნის შემდეგ ამ ამბავს იგი ასე მოგვითხრობს:

— ჩემ დღეში ისეთი გრძნობა არ გამომიცდია, როგორიც მაშინ, როდესაც გავიგე ფონოგრაფიდან საკუთარი ჩემი ხმა.

ბეშლორმა სანაძლეო ვაშლები წააგო, და ეს ვაშლები, მოგვითხრობს ედისონი—ჩემთვის უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე ის პატივი და გამარჯვება, რომელიც ჩემმა გამოგონებამ გამოიწვია ჩემდამი.

ეს ამბავი მოხდა 1877 წელს. ეჭვი აღარ იყო, მენლოპარკის ჯადოსანმა, მოგვმა, მოიგონა ფონოგრაფი, რომელსაც ასე აგვიწერს თითონ:

— იმას არა აქვს არც ენა, არც ტუჩები, არც ყელი და არც ხახა. მაშ ეს უსიცოცხლო, მკვდარი რაღაც ნივთიერებაა და კი მიჰბაძავს შენ ბგერას-ლაპარაკს. შენი ხმით იმეორებს შენ სიტყვებს და შენი სიკვდილის შემდეგ ასმა წელმაც რომ



გაიაროს, შეუძლია შენს შთამომავლობას გადასცეს შენი კარგი აზრები შენი ყოველი გრძნობები, შენი—თუნდ გაკვრით ნათქვამი სიტყვები.

მაგრამ მანქანა, რომელიც ედისონის და კრეისსის წინ ჯერ ასე გაურკვევლათ გადასცემდა სიტყვებს, საჭიროებდა გაუმჯობესებას.

ეს მიეგვანებოდა ბავშვს, რომელმაც ჯერ არ იცის ლაპარაკი. ზოგი ერთი ბგერა სულ იკარგებოდა, ზოგი ერთი ხმა ნაკლებათ და გაურკვეველათ ისმოდა.

ბგერების აღსანიშნავათ საჭირო იყო შესაფერი მასალა მოეპოვათ. თავდა პირველათ ედისონი სარგებლობდა განგებ ამისთვის მომზადებულ ქაღალდით. მერე იმის მაგივრათ კალის ფურცლებს ხმარობდა, სანამ ბოლოს არ მიაგნო წმინდა სანთლით შეზავებულ მრგვალ საგანს. ეს შეზავებული საგანი არის ერთათ ერთი საიდუმლოება, რომელსაც ედისონი არავის უმხელს. სხვა ფრივ მისი ლაბორატორიის კარი ღია არის ყველა ტეხნიკოსების და ინჟინრებისათვის, რომელნიც მოინდომებენ ედისონის და მისი გამოგონილ მანქანების ნახვას.

დიდი შრომა მოუნდა აგრეთვე ედისონს კარგი ქვის, გრიფილის შოვნას, ბგერების აღსანიშნავათ ცილინდრზე. ჯერ ის ხმარობდა ფოლადის უბრალო კალამს მერე ამ კალამს ბოლოში გაუკეთა ლურჯი იაგუნდის წმინდა წვერი.

ედისონს ათი წელიწადი შრომა დასჭირდა სანამ გააუმჯობესებდა თავის ფონოგრაფს.

თავდაპირველათ ფონოგრაფი ზოგიერთ ასოებს ხეირიანათ ვერ გამოსთქვამდა, მეტადრე ეძნელებოდა ასო S-ს გამოთქმა. ფონოგრაფს ეს ასო ვერას გზით ვერ გამოეთქვა. მთელი კვირაობით იჯდა ედისონი ფონოგრაფთან, ხან ჩაჰყვიროდა, ხან ჩასჩურჩულებდა, ხან ჩამღეროდა სიტყვა „spezia“ ფონოგრაფიც უპასუხებდა ყვირილით, ჩურჩულით, სიმღერით „pezia“.

ერთ მშვენიერ დღეს ედისონმა სრულებით დაჰკარგა მოთმინება, წამოხტა სკამიდან, მაგიდას მუშტი დაჰკრა და გააფთრებული ოთახიდან გავარდა. მაგრამ ხუთი წამის შემდეგ ის ისევ ფონოგრაფს მოუჯდა და იმეორებდა თავის: „სპეცია“-ს.

ბოლოს ყველა მისმა თანაშემწეებმა და ხელოსნებმა მიიღეს მხურვალე მონაწილეობა, მიეშველენ და დაუწყეს ფონოგრაფს სწავლება. ყველა მათგანი მოუჯდებოდა ხოლმე მანქანას და ჩასძახოდა მთელ წინადადებებს ან სიტყვებს. ისინი ასე ისხდენ მთელი საათობით, მთელი დღეებით და ერთ და იგივეს იმეორებდენ. უცხოს რომ შეეხედნა, იტყოდა საგიჟეთში შევედიო.

ჩვენ რომ დავაკვირდეთ ფონოგრაფში ჩანიშნულ ხმებს, გავიცნობთ, რომ ცალ-ცალკე ყოველ ხმას ძალიან საყურადღებო თვისებები აქვს.

აგრეთვე რომ გავშინჯოთ ფონოგრაფში ე. ი. აღნიშნული ხმა გამადიდებელის შუშის წყალობით ნათლათ გამოჩნდება, რომ თანახმოვანი ბგერა უფრო ღრმათ აჩენს კვალს, ვიდრე ხმოვანი. ასოებისაგან დარჩენილი კვალი მილიმეტრის ათას ნაწილს უდრის. თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ რანაირი წვრილი და უჩინარი წვრილმანისაგან შედგება ეს ახალი მანქანა ადვილი წარმოსადგენია, რამდენი ძალ-ღონე დასჭირდებოდა ედისონს ამ თავის საყვარელ შვილის შექმნისთვის.

მართალია საჭირო არ იყო აღფრთოვანება, გენიოსობა, ახალი ქვეყნის აღმოჩენა, ან ახალი ცხოვრების გზების გაკვლევა, მაგრამ ამგვარი საქმისთვის საჭირო იყო რკინის ხასიათი დაბრკოლებების დასაძლევათ, საჭირო იყო დაუღალობა, საქმისთვის გულის დადება, დიდი ტეხნიკური ცოდნა, რომ თვისებები სრული გამარჯვება მოეპოვა. ზოგჯერ ამგვარი უფრო გამოდგება ცხოვრებაში ვიდრე გენიოსური აღფრთოვანება.

სწორეთ ედისონზე ითქმება, რომ მან თავისი ფონოგრაფი ისე აღზარდა, როგორც მოსიყვარულე დედამ თავისი შვილი. ფონოგრაფი ურჩი და ზარმაცი იყო, მაგრამ ედისონმა თავისი მტკიცე ხასიათით, დაუღალავი შრომით მიაღწია იქამდის, რომ შვილი უნაკლო გამოვიდა. რაღაც უსულო ნივთიერებისაგან მან შეჰქმნა ის რაც სწადდა და ერთ მშვენიერ დღეს უჩვენა ხალხს თავისი უნაკლულო შვილი.

ეს მოხდა 1888 წელს ლონდონში. ამ ქალაქის ბროლის სასახლეში იყო საჩვენებლათ დადგმული ედისონის ხელოვნური მანქანა.

ფონოგრაფმა დაიწყო, იმითი, რომ წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა ლონდონის მწერლობის წარმომადგენელთა წინაშე, მერე მთელი პოემა წაიკითხა, ბოლოს ოპერიდან დაუკრა და იმღერა, ისე რომ საეთო მთელი წარმოდგენა გაიმართა. თითონ ედისონი შორს ამერიკაში იყო, მაგრამ ფონოგრაფის შემწეობით მისი სიტყვა იყო წარმოთქმული დამსწრეთა წინაშე.

ბევრმა გამოჩენილმა ინგლისელმა იმ დღეს ფონოგრაფის მეოხებით ილაპარაკეს. დედოფალმა ვიქტორიამ და გამოჩენილმა ინგლისის სახელმწიფო წევრმა გლადსტონმა ფონოგრაფის შემწეობით ედისონს მიულოცეს გამარჯვება.

(შემდეგი იქნება)